პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 76 (14072)

კვირა, 31 მარტი, 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

# შრომითი ნობათები

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. კორკოტაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ზ. მაისაშვილმა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 25 მარტისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.692 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.100 ცენტნერისა, რძე — 5.542 ცენტნერი ნაცვლად 3.590 ცენტნერისა, კვერცხი — 799 ათასი ცალი ნაცვლად 760 ათასი ცალისა.

თელაველმა მშრომელებმა, — აცნობეს „კომუნისტის" რედაქციას საქართველოს კპ თელავის რაიკომის მეორე მდივანმა ჯავახიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მეზვრიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა მესტვირიშვილმა, — 25 მარტს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულეს 102,7 პროცენტით, რძისა — 152,8 პროცენტით, კვერცხისა — 203,8 პროცენტით, მატყლისა — 219 პროცენტით, წვრილი ტყავისა — 113,7 პროცენტით, ღორის ტყავისა — 264,9 პროცენტით.

ამბროლაურის რაიონმა, — აცნობეს „კომუნისტის" რედაქციას საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ბიბილაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. შარაბიძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ბაკურაძემ, — 25 მარტს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 132 პროცენტით, რძისა — 146 პროცენტით, კვერცხისა — 129 პროცენტით.

პარტიის ახალციხის რაიკომის მეორე მდივანმა ო. სოხაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ბელაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა გ. ალდგომელაძემ „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა 25 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. ხორცის მიყიდვის დავალება შესრულებულია 104,8 პროცენტით, რძისა — 120 პროცენტით, კვერცხისა — 101,2 პროცენტით.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი მუშაობა თბილისის საჭრელი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ლ. გოგიჩაძე), რომელიც, გარდა საბჭოთა კავშირისა, მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში გზავნის თავის სერიულ პროდუქციას — მრგვალსახეხ ზეუმაღლესი სიზუსტის ჩარხებს.

ხუთწლედის მესამე წლის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჩარხმშენებლებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს, მათ ათი დღით ადრე უზრუნველყვეს პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმა და სახელმწიფოს რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მექანიკური საამქროს კოლექტივი, რომელმაც ვადაზე ორი დღით ადრე უპატაკა სამშობლოს პირველი კვარტალის გეგმის შესრულება.

სურათზე: ქარხნის მექანიკური საამქროს სახარატო ჩარხების ნაკადური ხაზი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



## ხუთწლედი — ვადამდე!

### ინიციატორთა გამარჯვება

#### ფრთებს ისხამს ი. ხაზარაძის თაოსნობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). როგორც ცნობილია, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 ამწყობ-მექანიკური საამქროს სექციონერ-გამმართველმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ხაზარაძემ შეიმუშავა გამმართველის, მეჩარხის, ტექნოლოგიური ხაზის თვითეული მუშის პირადი ყოველდღიური გრაფიკი.

ხაზარაძის თაოსნობას პირველმა დაუჭირეს მხარი ჰიდროგამძლიერებელი უბნის დგუშის დამუშავების ტექნოლოგიური ხაზის გამმართველმა მ. ლაჟავამ, მეჩარხეებმა ო. მეძმარიაშვილმა, ლ. წიქორიძემ და ლ. გუბელაძემ, რომლებმაც 12 თებერვლიდან პირადი გრაფიკით დაიწყეს მუშაობა.

პირველი მარტიდან პირადი ყოველდღიური გრაფიკით მუშაობაზე გადავიდა ამავე საამქროს კარდანული ლილვის უბნის მილტუჩას დამუშავების ტექნოლოგიური ხაზი, რომლის გამმართველია შ. გიგინეიშვილი.

გუშინწინ ინიციატორებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს. დგუშის დამუშავების ხაზის მეჩარხეებმა გრაფიკს გაუსწრეს და მარტის გეგმით გათვალისწინებული 950 ცალი დგუშის ნაცვლად გამოუშვეს 1.100 ცალი, ხოლო მილტუჩას დამუშავების ტექნოლოგიური ხაზის მეჩარხეებმა მთლიანად ვადამდე შეასრულეს მარტის დავალება.

### ენგურჰესელები მსჯელობენ

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ზუგდიდში გაიმართა ენგურჰესის მშენებელთა აქტივის თათბირი, რომელიც გახსნა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ალექსანდროვმა.

მშენებლობის მიმდინარეობას შეეხნენ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი კ. დადიანი, მთავარი ინჟინერი ნ. ჭარხალაშვილი, კაშხალის მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნ. ემხვარი, ვარდნილჰესების, ძალოვანი კვანძებისა და გვირაბების მშენებლობის სამმართველოთა უფროსები გ. ჩუბინიძე, ა. ცნობილაძე, გ. წულეისკირი და სხვები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ჩოგოვაძემ.

### მილიონი ცალი ტრანსფორმატორი

ბათუმი. (საკ. კორ.). ეს დღეები ღირსშესანიშნავი იყო ქარხანა „ელექტროხელსაწყოში". აქ ააწყეს მემილიონე ცალი ავტოტრანსფორმატორი „ლატრი".

ქარხანა „ელექტროხელსაწყო" ქალაქის ახალგაზრდა საწარმოა, პირველი ბათუმური „ლატრი" 1959 წელს გამოვიდა. მას შემდეგ პროდუქციის გამოშვება 10-ჯერ გაიზარდა.

ბათუმურ ტრანსფორმატორებსა და რეგულატორებზე დიდი მოთხოვნილებაა, ისინი მსოფლიოს 16 ქვეყანაში იგზავნება.

### საქართველოს პროფსაბჭოს II პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს II პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარის შ. კიკნაძის მოხსენება „სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამოცანები".

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის საოლქო პროფსაბჭოს მდივანი ი. კეცბა, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ბუჩქულაშვილი, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მემოდელე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბოროდავკა, აჭარის საოლქო პროფსაბჭოს მდივანი გ. კიკნაძე, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. ცხოვრებაშვილი, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროფკავშირთა კომიტეტის თავმჯდომარე ო. ალავიძე, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. გამყრელიძე, ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ვაშაძე, თბილისის 26 კომისრის მანქანათსაშენებლო ქარხნის დირექტორი დ. ყორყოლიანი, რუსთავის ქიმიური კომბინატის მეაპარატე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ქაჯაია და სხვ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა საქართველოს პროფსაბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი განყოფილების გამგის დ. ჰოლოკავას ინფორმაცია „საქართველოს პროფკავშირთა XIV ყრილობის დელეგატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ".

# დარბაზობა კრემლში

დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავის გამო 29 მარტს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა დარბაზობა.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, პ. ნ. დემიჩევი, სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი კ. ა. ფედინი, საიუბილეო კომიტეტის წევრები, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები, სამინისტროებისა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები, უცხოელი სტუმრები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

## ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, პატივცემულო სტუმრებო!

ჩვენი ხალხი, პლანეტის ყველა მოწინავე ადამიანი აღნიშნავენ დიდი რუსი მწერლის, რევოლუციის ქარიშხალას — ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის დაბადების 100 წლისთავს.

მთელ მსოფლიოში ცნობილი მწერალი, რომლის წვლილი კაცობრიობის კულტურაში ჭეშმარიტად უზარმაზარია, გორკი ჩვენი სამშობლოს დიდება და სიამაყეა. იგი ჩვენთვის ძვირფასია როგორც დიდი მწერალი, რევოლუციონერი მწერალი, რომელმაც დასაბამი მისცა პროლეტარულ, სოციალისტურ ლიტერატურას.

მისი შემოქმედება განუყოფელია რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიისაგან, დიდი ოქტომბრის გამარჯვებისაგან, რომლის 50 წლისთავი ამას წინათ ზეიმით აღვნიშნეთ.

დიდი კლასობრივი ბრძოლების მოწმემ და მონაწილემ, გორკიმ მთელი თავისი მძლავრი ტალანტი მოახმარა მშრომელი ხალხის საქმეს. უდიდესი მხატვრული ძალით ასახა მან რევოლუციური ხალხის, ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ისტორიული გმირობა. თავისი ეპოქის — პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის ეპოქის — შესანიშნავი გამომხატველი გორკი რუსული ლიტერატურის კეთილშობილური მოქალაქეობრივი ტრადიციების ღირსეული განმგრძობი იყო, ლიტერატურისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა ისეთი გენიოსები, როგორც პუშკინი და გოგოლი, ლერმონტოვი და ნეკრასოვი, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, ტოლსტოი და ჩეხოვი.

დიდი პროლეტარული მწერალი მუდამ გრძნობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბრძნულ და მეგობრულ მხარდაჭერას, სწავლობდა მისგან, ლენინის მიხედვით ამოწმებდა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების გზას.

მისი მძლავრი მხატვრული ტალანტი გაიფურჩქნა, მთელი თავისი მრავალფეროვნებით აყვავდა სწორედ იმის წყალობით, რომ მან მთელი თავისი შემოქმედება დაუკავშირა ხალხს, მუშათა კლასის საქმეს, პროლეტარულ რევოლუციასა და სოციალიზმს, დიდი ლენინის საქმეს.

ძვირფასო ამხანაგებო! გადის დრო, მაგრამ ხალხის შეგნებაში არ ჰქრება გორკის დიდი ნაწარმოებნი — ისინი წინანდებურად აღანთებენ საბჭოთა ადამიანების გულს რევოლუციური პათოსით, აღმშენებლობის ენერგიით, გვეხმარებიან ვიცხოვროთ და ვიშრომოთ, წარმატებით ვიაროთ წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით.

დიდი ჰუმანისტი და ინტერნაციონალისტი, გორკი იყო თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი. იგი ამაყობდა, რომ მისი ხალხი პირველი დაადგა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას და გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა მაგალითი და იმედი.

მთელ პლანეტაზე გაისმის დიდი მწერლის ხმა სოციალიზმის სამშობლოს დასაცავად, საბჭოთა ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად.

გორკი მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებრიობას მოუწოდებდა შეკავშირებულიყო იმპერიალისტური რეაქციისა და ფაშიზმის უკუსაგდებად და მათ წინააღმდეგ შეტევისათვის.

ჩვენ არაერთგზის გვითქვამს და ახლაც ვამბობთ, რომ ყველას გვახსოვს მისი მგზნებარე მოწოდება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი, როცა მან იკითხა: „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის ოსტატებო?" ეს მოწოდება დღესაც გაისმის მსოფლიოში როგორც მოწოდება საბრძოლველად იმავე ძალების წინააღმდეგ, რომლებზეც ლაპარაკობდა გორკი. და კულტურის პროგრესული ოსტატები, რომელთა მხარეზე, უეჭველია, არის მშრომელი ხალხი და კაცობრიობის მომავალი, უპასუხებენ, რომ ისინი ლენინის საქმის, დიდი კომუნისტური პარტიის საქმის, მშრომელი ხალხის, ინტერნაციონალიზმის მომხრენი არიან.

გორკი გახდა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის უნარიანი და მზრუნველი ორგანიზატორი. მისკენ, ამ ბრწყინვალე და საოცარი პიროვნებისაკენ, მიილტვოდნენ საუკეთესო, ნიჭიერი ადამიანები, და იგი დაუღალავად რაზმავდა მათ, ასწავლიდა ხალხის, კომუნიზმის იდეალების ინტერესებისადმი პატიოსან, თავდადებულ სამსახურს.

ჩვენთვის ძვირფასია გორკის — მწერლის, გორკის — მოქალაქისა და მებრძოლის შესანიშნავი ტრადიციები. ისინი დღეს კულტურის ოსტატებს მოუწოდებენ ზუსტად გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობა მშობლიური ქვეყნის ბედისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. ისინი გვასწავლიან დიდ თუ მცირე საქმეში ვიჩენდეთ იდეურ პრინციპულობას, მტკიცედ ვიცავდეთ ჩვენი ხალხის ინტერესებს, სოციალისტური სამშობლოს პატივსა და ღირსებას, თავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ხალხის ბრძოლის დიად საქმეს.

რუსი ხალხის დიდი მწერლის საზეიმო იუბილეს დღეს ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ვუსურვო ჩვენს მწერლებს, საბჭოთა კულტურის ყველა მუშაკს ახალი შემოქმედებითი მიღწევები!

რევოლუციური, გორკისეული ტრადიციებისათვის საბჭოთა ლიტერატურაში!

ახალი წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში!

* * *

კ. ა. ფედინმა საპასუხო სიტყვაში მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ეთმობა ლიტერატურის განვითარებას, მწერლებზე, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებზე ზრუნვისათვის. საიუბილეო კომიტეტის სახელით მან გულითადი მადლობა უძღვნა უცხოელ სტუმრებს, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ა. მ. გორკის დაბადების 100 წლისთავის ზეიმში. (ტასსი).




1968 წლის 1 აპრილს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება

დიდი რუსი მწერლის

მაქსიმ გორკის

დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი

საიუბილეო საღამო

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

დასასრულ გაიმართება დიდი მხატვრული კონცერტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

## დღეს ჩაის ზეიმია



31 მარტი ქართული ჩაის ზეიმის დღეა. 25 მარტიდან ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს სურნელოვანი ქართული ჩაის კვირეული. ლამაზად გაფორმებული რესტორნები, სასადილოები, საჩაიეები გვიწვევენ ფინჯან ჩაიზე. ქალაქ თბილისის რესტორნებში — „თბილისში", „საქართველოში", „მოსკოვში", საჩაიე „არაგვში", კაფეებში — „ცისკარში", „მეტროში", „ნარგიზში", „ჩაზაფხულში"... ადამიანებმა იგემეს ქართული ჩაის სიამე.

დღეს, ჩაის კვირეულის უკანასკნელ დღეს, ჩაის სახლიდან მოეწყობა საინტერესო თეატრალიზებული გადაცემა. ეს მოხდება 18 საათსა და 30 წუთზე. ჩაის სახლი გიწვევთ ტელევიზორებთან, თქვენ მოისმენთ გადაცემას თემაზე: „ყველაფერი ჩაის შესახებ". თბილისის ჩაის სახლში შეიკრიბებიან რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ისინი პასუხს გასცემენ კითხვებზე ჩაის განვითარების ისტორიის, ჩაის მოყვანის, შენახვის, მოხმარების, სამკურნალო თვისებების შესახებ.

გარდა თბილისისა ჩაის ზეიმი გაიმართება სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელში, თითქმის ყველა რაიონში.

ჩაის კვირეულის დღეებში საზოგადოებრივი კვების ობიექტებმა „ჩაის სუფრისათვის" შემოიტანეს მაღალხარისხოვანი, მრავალფეროვანი საკონდიტრო ნაწარმი, მურაბები, ლიმონი, ჯემი, თაფლი.

ვისარგებლოთ ქართული ჩაის სიკეთით!

# მათი გმირობა მოგვიწოდებს ახალი სასახელო საქმეებისათვის

## ი. ა. გაგარინისა და ვ. ს. სერიოგინის დაკრძალვა წითელ მოედანზე

უზომოა დანაკლისი, რომელიც ჩვენმა სამშობლომ განიცადა ერთბაშად ორი გმირის დაკარგვით. 30 მარტს ჩვენი ქვეყანა უკანასკნელად ეთხოვებოდა დედამიწის დიდ შვილს, მილიონობით ადამიანისათვის ძვირფას, პირველ კოსმონავტს იური გაგარინსა და სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების სახელოვან შევარდენს, მფრინავ ვლადიმერ სერიოგინს.

...მოსკოვი ძაძებშია. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის მისასვლელები, სადაც წითელდროშოვან დარბაზში დადგმულია ურნები იური გაგარინისა და ვლადიმერ სერიოგინის ნეშტით, სავსეა მგლოვიარე ხალხით.

ჯერ კიდევ არ გვჯერა, რომ გაგარინი აღარ არის. იგი ცოცხლობს მილიონების გულში. და დღეს მილიონობით ადამიანი ფიქრებით აქ იყო პირველი კოსმონავტისა და მისი მეგობრის მფრინავ ვლადიმერ სერიოგინის ნეშტთან. ათასობით და ათასობით ადამიანი მოვიდა აქ, რათა უკანასკნელად ეცათ პატივი გმირებისათვის, ხალხის, პარტიის ერთგული შვილებისათვის.

უყვავილებშია კვარცხლბეკი, სადაც დადგმულია ურნები გმირთა ნეშტით. სვეტები შავ-წითელ ქსოვილებშია. გვირგვინები, გვირგვინები, გვირგვინები... აქ ასობით გვირგვინი გამოგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკებმა, ოლქებმა, ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რაიონებმა, საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა. გმირებს პატივი სცეს სოციალისტური ქვეყნების მშრომელებმა. დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში იოჟეფ სიპკამ გვირგვინით შეამკო კვარცხლბეკი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და თავდაცვის სამინისტროს სახელით. ერთ-ერთ გვირგვინზე წარწერილია: „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა".

საპატიო ყარაულში დგანან საბჭოთა კავშირისა და ჯარების გვარეობათა მარშლები, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, სახელმწიფო მოღვაწენი.

სამგლოვიარო ვახტზე დგებიან მთავრობის კომისიის წევრები ა. პ. კირილენკო, დ. ს. პოლიანსკი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. გრიშინი, ი. ი. იაკუბოვსკი, ა. ა. ეპიშევი, კ. ა. ვერშინინი, ა. ბ. ნიკოლაევი, მ. ს. სმირტიუკოვი.

12 საათია. წყდება შესვლა დარბაზში, სადაც ასვენია გმირთა ნეშტი. ეს უკანასკნელი წუთები მხოლოდ მშობლებს, მახლობლებსა და მეგობრებს ეთმობა.

სამგლოვიარო მელოდიათა ხმებში საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლიდან გამოაქვთ ურნები იური გაგარინისა და ვლადიმერ სერიოგინის ნეშტით. სამგლოვიარო პროცესია დაიძრა წითელი მოედნისაკენ.

ქუჩებში ათასობით მოსკოველია. ისინი გამოვიდნენ გმირთა გასაცილებლად უკვდავების გზაზე.

კავშირების სახლთან სამგლოვიარო პროცესიას ხვდებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები. მათ ურნები გადააქვთ ქვემეხის ლაფეტზე. პროცესია მიემართება წითელი მოედნისაკენ.

გმირების, კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთგული შვილების ხსოვნის პატივსაცემად წითელ მოედანზე ათასობით ადამიანი შეკრებილა. გრანიტის ტრიბუნებზე არიან მოსკოვის მშრომელთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქებისა და ოლქების, ბაიკონურის კოსმოდრომის, „ვარსკვლავეთის" ქალაქის წარგზავნილები, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, მუშები, რომელთა მეცადინეობით შექმნილია რაკეტმზიდები და კოსმოსური ხომალდები, კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მარშლები და გენერლები, ოფიცრები.

აქ არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საელჩოთა დიპლომატიური თანამშრომლები, საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოთა სამხედრო ატაშეები.

მოედნის მთელ სიგრძეზე მწყობრში გარინდულან სამხედრო ქვედანაყოფები.

სამგლოვიარო პროცესია მავზოლეუმთან ჩერდება. ურნები დაღუპულთა ნეშტით ქვემეხის ლაფეტიდან გადააქვთ კვარცხლბეკზე ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე დგიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები, კოსმონავტი მფრინავები.

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

ღრმა მწუხარებით, ამბობს იგი, უდიდესი დანაკლისის გრძნობით ეთხოვება საბჭოთა ხალხი თავის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და სახელოვან შვილს, მსოფლიოს პირველ კოსმონავტ-მფრინავს, კომუნისტს, საბჭოთა კავშირის გმირს, სსრ კავშირის უმაღლესი

(დასასრული მე-2 გვ.).

# მათი გმირობა მოგვიწოდებს
## ახალი სასახელო საქმეებისათვის

(დასასრული)

საბჭოს დეპუტატს, პოლკოვნიკ იური ალექსის-ძე გაგარინს. უკანასკნელ ვალს ვიხდით დღეს მამაცი მებრძოლი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის, კომუნისტის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინის წინაშე.

იური ალექსის-ძე გაგარინის სახელი სამუდამოდ შევიდა კაცობრიობის ისტორიაში. ეს სახელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ბუნების ძალების შესწავლისა და დაპყრობის ძნელ გზაზე უდიდეს მონაპოვართა მატიანეში, გახდა ადამიანის გონების ძლიერების, მამაცობისა და ნოვატორობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმისადმი თავდადებული სამსახურის სიმბოლო. არასოდეს არ იქნება დავიწყებული, რომ იური გაგარინი პირველი წავიდა გაუკვალავი გზით სამყაროს უკიდეგანო სივრცეში და თავისი შემართებული გმირობით დაიწყო კოსმოსის დაპყრობის ერა.

იური გაგარინს იცნობდნენ მსოფლიოს ყოველ კუთხეში და მიაჩნდათ ჩვენი გმირი ხალხის, იმ ხალხის ღირსეულ წარმომადგენლად, რომელმაც დასაბამი მისცა სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნას და თანამედროვე სოციალური პროგრესის ავანგარდშია.

იური გაგარინმა შეითვისა ყოველივე საუკეთესო, რაც ახასიათებს საბჭოთა ადამიანს — ხალხისა და პარტიისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება, მამაცობა და ვაჟკაცობა. ყველა, ვინც შეხვედრია იური ალექსის-ძეს, იცნობდა მას როგორც გულისხმიერ და ყურადღებიან ამხანაგს, მომხიბვლელ ადამიანს. მას ახასიათებდა მაღალი პარტიულობა, შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა, იგი უმწიკვლოდ ასრულებდა მხედრულ მოვალეობას, მუდამ მზად იყო მთელი თავისი ძალები მოეხმარებინა სოციალისტური სამშობლოსათვის.

ვარსკვლავეთის ტრასით, რომელიც გაიყვანა იური ალექსის-ძე გაგარინმა, გაფრინდებიან ახალი ხომალდები. გაივლის დრო, და ადამიანი მიაღწევს სხვა პლანეტებს. მაგრამ რაც უნდა შორს იყოს კოსმოსური გზები, რა ახალ ბრწყინვალე წარმატებებსაც უნდა მივაღწიოთ კოსმოსის ათვისებაში, იური გაგარინი იქნება შესანიშნავი შთამაგონებელი მაგალითი კოსმონავტთა ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

საბჭოთა სამშობლოს ერთგულ შვილად ვიცნობდით ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინს. საბჭოთა ქვეყნის სახელოვანი შევარდენი მამაცურად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. შესანიშნავად გამოიჩინა თავი ვლადიმერ სერიოგინმა საავიაციო ნაწილის მეთაურის პოსტზეც.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, თქვა ა. კ. კირილენკომ, მთელ ხალხთან ერთად, ჩვენს უცხოელ მეგობრებთან ერთად დიდად გლოვობენ დაღუპულ გმირებს და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ იური ალექსის-ძე გაგარინისა და ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინის ოჯახებსა და ნათესავებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. ვ. კელდიშს.

გაგარინის გმირობა, ამბობს იგი, უდიდესი წვლილი იყო მეცნიერებაში, მან დასაბამი მისცა ახალ ეპოქას კაცობრიობის ისტორიაში — ადამიანის ფრენას კოსმოსში, დასახა საპლანეტათშორისო მიმოსვლის გზა. მთელმა მსოფლიომ ეს ისტორიული გმირობა შეაფასა როგორც საბჭოთა ხალხის ახალი გრანდიოზული წვლილი მშვიდობისა და პროგრესის საქმეში.

თავისი ტრიუმფული კოსმოსური ფრენის შემდეგ იური ალექსის-ძე გაგარინი განაგრძობდა დაუცხრომელ მუშაობას, დაუღალავად ეუფლებოდა ახალ ცოდნას. მან ბევრი ძალღონე მოახმარა ახალი კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟების მომზადებას, დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა კოსმონავტების შემდგომი ფრენის განხორციელებაშიც. მეცნიერებთან, კონსტრუქტორებთან და გამომცდელებთან ერთად ახმარდა თავის გამოცდილებას კოსმოსური ტექნიკის განვითარებას.

ყველა, ვინც შეხვედრია იური ალექსის-ძეს, არასოდეს არ დაივიწყებს მას, საბჭოთა ადამიანს, საზრიან, დინჯ და თავმდაბალ, უშიშარ გმირს, რომელიც მზად იყო დიდი გმირობისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი სახელი სამუდამოდ შევა ისტორიაში, როგორც სიმბოლო სოციალიზმის ეპოქის ადამიანის შემოქმედებითი გენიისა და მამაცობისა.

საბჭოთა კოსმონავტების ოჯახთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი, უშიშარი მფრინავი, რომელსაც არაერთხელ ჩაუდენია გმირობა დიდი სამამულო ომის პერიოდში. ამ ბოლო დროს ვლადიმერ სერგის-ძე მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა კოსმონავტ მფრინავებთან მუშაობას, მათი ფრენის ოსტატობის სრულყოფას.

ტრიბუნაზეა ვლადიმერ ილიასძის სახელობის ქარხნის ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი ს. ა. ანტონოვი.

იური გაგარინი იყო ჩვენი სამშობლოს საყვარელი შვილი, დიდი საბჭოთა ხალხის სიამაყე და სიმბოლო, თქვა მან. გავა საუკუნეები, მაგრამ ჩვენს ხალხს, მთელ კაცობრიობას მუდამ ეხსომება პირველი კოსმონავტის, კომუნისტ იური გაგარინის უდიდესი გმირობა.

კოსმოსის სახელგანთქმული დამპყრობი ყოველთვის ძვირფასი და სასურველი სტუმარი იყო დედაქალაქის საწარმოებში. ჩვენ ვიცნობდით და გვიყვარდა იგი როგორც უაღრესად მომხიბლავი და თავმდაბალი, გაბედული და გამჭრიახი ადამიანი. მისი ცხოვრება ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ვაჟკაცობისა და მამაცობის, მგზნებარე პატრიოტიზმის, კომუნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულების, სამშობლოს სასახელოდ გმირობისათვის მუდამ მზადყოფნის მაგალითი იქნება.

ძნელია შეურიგდე იმას, რომ ველარასოდეს ველარ ვნახავთ მის კეთილ ღიმილს, ვერ გავიგონებთ მის ფრთოსან სიტყვას „წავედით“. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კოსმონავტების სახელოვანი რაზმი გაიზრდება, რომ კოსმოსურ ტრასებზე სამყაროს საიერიშოდ ახალ კოსმოსურ ხომალდებს წაიყვანენ იური გაგარინის თანამოლვაწენი, მისი მოწაფეები.

ჩვენი ქარხნის მუშებმა სამუდამოდ ჩარიცხეს გმირი კოსმონავტი იური ალექსის-ძე გაგარინი თავიანთი კოლექტივის საპატიო წევრთა სიაში. იგი ყოველთვის ჩვენთან ერთად იქნება ერთ მწყობრში, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა სამგლოვიარო მიტინგზე თქვა, რომ იური გაგარინის უკვდავ გმირობაში ხორცი შეისხა საბჭოთა ხალხის — კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასის, ნიჭიერი მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების ბუმბერაზულმა ძალამ.

იური გაგარინი შემკული იყო ჩვენი თანამედროვის საუკეთესო თვისებებით. სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, თავისი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულმა და ერთგულებამ, მაღალმა პრინციპულობამ და მოქალაქეობრივი მოვალეობის ერთგულებამ, შინაგანმა კეთილშობილებამ და სულიერმა სიმდიდრემ, თავმდაბლობამ და ადამიანობამ — ამ თვისებებმა მას ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა დიდი პატივისცემა მოუხვეჭა.

კომუნისტ იური ალექსის-ძე გაგარინის სახელი უსაზღვროდ მახლობელი და ძვირფასია მოსკოველებისათვის, აღნიშნა ორატორმა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დედაქალაქის მშრომელთა კოლექტივებთან, მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებასთან, მგზნებარე პროპაგანდისტი იური ალექსის-ძე დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა. იგი არაერთხელ გამოსულა სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა მუშების, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების თანამშრომლების წინაშე, ბევრ ძალღონეს ახმარდა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

ეთხოვებიან რა დღეს იური ალექსის-ძე გაგარინსა და ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინს, მოსკოველები, თქვა დასასრულ ვ. ვ. გრიშინმა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდად გლოვობენ ჩვენი სახელოვანი გმირების ტრაგიკულად დაღუპვას. კომუნისტების იური გაგარინისა და ვლადიმერ სერიოგინის ნათელი ცხოვრების გზა თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი უანგარო სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი იქნება.

სიტყვას ამბობს სამხედრო მფრინავი, პოდპოლკოვნიკი ვ. ა. აბრამიჩევი.

— არის წუთები, როცა ძნელია გამონახო სიტყვები და გამოთქვა გრძნობების მთელი სიღრმე, მთელი გულისტკივილი. სწორედ ამას განვიცდით ახლა ჩვენ, სამხედრო ავიატორები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად. ჭაბუკური ენერგიით აღსავსე, შემოქმედებითი შემართებით ფრთაშესხმული, ტრაგიკულად დაიღუპა მსოფლიოში პირველი დამპყრობი კოსმოსისა, გამოჩენილი კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი იური ალექსის-ძე გაგარინი.

მასთან ერთად, განაგრძო ვ. ა. აბრამიჩევმა, დაიღუპა მამაცი სამხედრო მფრინავი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინი. იგი იყო გულადი და მამაცი საბჭოთა შევარდენი, ნიჭიერი მფრინავი და მეთაური. მთელი მისი ცხოვრება სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის მკაფიო მაგალითია.

დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან გააფთრებული ბრძოლების დროს მან, მოიერიშე მფრინავმა, გამოიჩინა უშიშრობა და მამაცობა, მოახდინა ორასამდე საბრძოლო გაფრენა. სამშობლომ ღირსეულად დააფასა ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინის ვაჟკაცობა და მამაცობა, მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, დააჯილდოვა ბევრი საბრძოლო ორდენით.

ჩვენმა სამშობლომ საბჭოთა მეომრებს მისცა ყველაზე თანამედროვე იარაღი და მძლავრი საბრძოლო ტექნიკა, თქვა შემდეგ ორატორმა. სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალებს ახლა აქვთ სხვადასხვა დანიშნულების ზებგერითი რაკეტმზიდი თვითმფრინავები. ავიატორი მეომრები, ისევე როგორც არმიისა და ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა, დიდ მადლობას უძღვნიან სკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ხალხს ყველაფრისათვის, რაც ჩვენთვის გააკეთეს, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებზე დიდი ზრუნვისათვის და ყოველთვის მზად არიან ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის პირველი მოწოდებისთანავე ღირსეულად შეასრულონ თავიანთი წმიდათა-წმიდა მხედრული ვალი.

სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა საბჭოთა კავშირის გმირმა პოლკოვნიკმა ა. გ. ნიკოლაევმა გამოთქვა უზომო მწუხარება, რომელმაც საბჭოთა კოსმონავტების ერთსულოვანი ოჯახი მოიცვა საყვარელი ამხანაგის დაკარგვის გამო.

იური ალექსის-ძე გაგარინის სახელს, ხაზი გაუსვა მან, უკავშირდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის უდიდესი მიღწევა — ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში. მე ცხადად მახსოვს 1961 წლის 12 აპრილის დილა, როცა იური ალექსის-ძე ტრაპით ავიდა და დაიკავა ადგილი კოსმოსურ ხომალდში, რათა მოეხდინა გმირობა, რომლის ბადალი არ ახსოვს ისტორიას. ამ საგმირო საქმისათვის — კოსმოსში პირველი გაფრენისათვის, მამაცობის, ვაჟკაცობისა და გულადობისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

მას სამართლიანად უწოდეს სამყაროს პირველი მოქალაქე. იური ალექსის-ძის სახელს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში იცნობენ. იგი ყოფილა ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკის ბევრ ქვეყანაში. და ყველგან ტაშს უკრავდნენ მას — კოსმოსის გმირს, საბჭოების ქვეყნის წარგზავნილს. იური გაგარინს მიენიჭა საზღვარგარეთის ბევრი სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოები. იური ალექსის-ძეს მინიჭებული ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალსტური შრომის გმირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის გმირის წოდებანი.

იგი ჩვენთან იყო ყველა სტარტზე, მისი ხმა გვესმოდა ყველა ფრენის დროს, თქვა ა. გ. ნიკოლაევმა. კოსმოსის გზის პირველი გამკვლავის მაგალითი გვინერგავდა რწმენას, მოგვიწოდებდა ახალი მიღწევებისათვის. იური ალექსის-ძემ ბევრი რამ გააკეთა კოსმონავტთა სწავლისა და აღზრდისათვის. ჩვენ, მისმა ახლო მეგობრებმა და ამხანაგებმა, კარგად ვიცით, თუ რა მუყაითობითა და ენერგიით წყვეტდა იგი კოსმოსური ტექნიკის შესწავლასთან და კოსმონავტთა სწავლის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამოცდილი მფრინავი, ნიჭიერი მეთაური, ჩვენი იური მომხიბლავი ადამიანი იყო. მისმა თავმდაბლობამ, სისადავემ, გულისხმიერებამ, მისმა მიზანსწრაფულობამ და ურყევმა ნებისყოფამ მოუხვეჭა ყველა იმათი გულწრფელი სიყვარული და ღრმა პატივისცემა, ვინც მას იცნობდა.

ჩვენს მებრძოლ ამხანაგთან და მეგობართან გამოთხოვების ჟამს მაგონდება სიტყვები ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის „შევარდენზე სიმღერიდან“: „მოკვდი, ფრინველო, მაგრამ რა ვუყოთ! — შენებრ მამაცნი, სულით ძლიერნი გიმღერენ ქებას... თავგანწირული შენი ეს ბრძოლა, გმირული ქცევა — სამაგალითო იქნება სხვისთვის!“.

საბჭოთა კოსმონავტების კოლექტივის სახელით ა. გ. ნიკოლაევმა აღუთქვა კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ განაგრძობენ იური გაგარინის მიერ დაწყებულ სახელოვან საქმეს და მზად არიან კვლავაც შეუტიონ კოსმოსურ სივრცეს.

სსრ კავშირის მფრინავი კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ იური ალექსის-ძე გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის ინჟინერ-პოლკოვნიკ ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი დახურულად ცხადდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა, კოსმონავტმა მფრინავებმა, სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა ასწიეს ურნები და გაემართნენ კრემლის კედლისაკენ.

ურნებს ი. ა. გაგარინისა და ვ. ს. სერიოგინის ნეშტით დგამენ კრემლის კედლის ნიშებში. მთელი ქვეყანა წუთიერი დუმილით პატივს სცემს გმირების ხსოვნას.

ნიშებს ხურავენ მემორიალური დაფებით.

გრიალებს საარტილერიო სალუტი. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მავზოლეუმის წინ მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ჯარის ნაწილებმა. ისინი უკანასკნელ პატივს სცემენ იური ალექსის-ძე გაგარინსა და ვლადიმერ სერგის-ძე სერიოგინს. (საქდესი).




მოსკოვი. 1968 წლის 30 მარტი. წითელი მოედანი. საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტ-მფრინავის ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკის ვ. ს. სერიოგინის დაკრძალვა.

სურათზე: სამგლოვიარო მიტინგი.

ფოტო ო. სავოსტიანოვისა და ვ. მუსაელიანისა (საკდესი. სურათი მიღებულია თბილისის ტელეგრაფის ბილდით).

## ღრმა სამძიმარი

სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირის პოლკოვნიკ ი. ა. გაგარინისა და საბჭოთა კავშირის გმირის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ს. სერიოგინის ტრაგიკულად დაღუპვის გამო ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებულია მრავალი დეპეშა, მათ შორის:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსი;

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსი;

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოსი.

## ქართული მეცნიერების ახალი მიჯნები

### რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა და მეცნიერთა დიდი რაზმის საქმიანობის შედეგებს მიეძღვნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელიც 28 მარტს გაიმართა.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. მუსხელიშვილმა**.

მოხსენება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1967 წლის მნიშვნელოვანი შედეგები საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში“ გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა-მდივანმა **ს. დურმიშიძემ**. მან ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომლებითაც ქართულმა მეცნიერებამ აღნიშნა დიდი ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო წელი.

მომხსენებელმა ფართოდ ილაპარაკა აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის ამოცანებზე.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმედეგობის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **კ. ზავრიევი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **გ. ციციშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. აფაქიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. კეცხოველი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **მ. გოგოლიშვილი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, სასარგებლო წიაღისეულთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. ძიძიგური**, ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ა. შენგელია**.

ორატორებმა დაახასიათეს ქართული მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარება, აღნიშნეს მიღწეული წარმატებანი, ნაკლოვანებანი, დასახეს მომავლის ამოცანები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა **ს. დურმიშიძემ**. დაამტკიცეს წესდების შესწორებანი.

შემდეგ მოისმინეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **გ. ძოწენიძის** მოხსენება თემაზე: „ვულკანიზმის როლი მადანთწარმოშობაში“. მომხსენებელმა ილაპარაკა მის მიერ წამოყენებულ ახალ კონცეფციაზე ზოგიერთი მადნის საბადოსა და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა ვულკანური წარმოშობის შესახებ.

სიტყვა მოხსენებისათვის თემაზე „ბუნების ზოგიერთი მოვლენის პროგნოზი“ ეძლევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს **თ. დავითაიას**.

იგი ლაპარაკობს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებისა და მოვლენების პროგნოზებზე (სასარგებლო წიაღისეული, მიწისძვრები, კლიმატი და ამინდი) და ამ დარგში ქართველ მეცნიერთა მიერ მიღწეულ წარმატებებზე.

შემდეგ განიხილეს ორგანიზაციული საკითხები.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვლილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ა. ბ. წულუკიძის** ხსოვნას.

(საქდესი).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივ კომისიაში

**ამ დღეებში** გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ა. კევლიშვილის მოხსენება „რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების მდგომარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა. განმტკიცდა კინოქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოძველებული ტიპის კინოაპარატურა ახალი ტექნიკით შეიცვალა, გაუმჯობესდა კინოთეატრების მშენებლობის საქმე. 1967 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში არსებული 1.688 კინოდანადგარიდან 1.271 ემსახურებოდა სოფლის მოსახლეობას, ხოლო 600-ზე მეტი ფართოეკრანიანი კინოთეატრიდან სოფლად განლაგებულია 450-ზე მეტი. სათანადო ყურადღება ექცევა სოფლის კინოქსელში ფილმების ჩვენების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის კინომომსახურებაში არის სერიოზული ნაკლოვანებები. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ბევრი დიდი დასახლებული პუნქტი სათანადო შენობების უქონლობის გამო კინომომსახურების გარეშეა დატოვებული. მათ შორის ისეთი სოფლები, როგორიცაა: გარდაბნის რაიონში — შინდისი, ნორიო, ყარათაღლა, გამარჯვება, მუღანლო; ჭიათურაში — შუქრუთი, თაბაგრები, დიდი კაცხი და სხვ.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მხრივ აგრეთვე დუშეთის, მარნეულის, ახმეტის, ხობის, ბოლნისის, ცაგერის რაიონებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი სათანადოდ არ ამარაგებს კინოქსელსა და კინოსარემონტო სახელოსნოებს სათადარიგო ნაწილებით. ბევრი კინომექანიკოსის დაბალი კვალიფიკაციის გამო ხშირია კინოდანადგარების ტექნიკური ექსპლოატაციის წესების უხეში დარღვევის შემთხვევები. კინომექანიკოსთა არსებული სკოლა რესპუბლიკის კინოქსელს ვერ აკმაყოფილებს კადრებით.

სუსტია კონტროლი კინოქსელის მუშაკთა საქმიანობაზე, ზოგიერთ სოფელში კინომექანიკოსებს მუშაობაში საჭირო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ ადგილობრივი საბჭოები და სოფლის აქტივი.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად რესპუბლიკის კინოქსელმა 1967 წელს ვერ შეასრულა მოსახლეობის კინომომსახურებისა და კინოს შემოსავლის სახელმწიფო გეგმები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა ს. დოლიძემ, შ. გაგოშიძემ, ნ. ჩაგუნავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. სალარიძემ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ს. რიგვავამ.

კომისიამ საკითხი განსახილველად შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა იგი და მიიღო სათანადო დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქდესი).

## მიეძღვნა გორკის

### სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის კრება

**მოსკოვი. (საქდესის საკუთარი კორესპონდენტი).** აქ გაიმართა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო კრება, რომელიც მ. გორკის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

მოხსენება — „მ. გორკი და ახალი ადამიანის აღზრდა“ — წაიკითხა აკადემიკოსმა **დ. ბლაგოიმ**. აკადემიკოსმა **ი. კაიროვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა თემას „მ. გორკი და ბავშვები“, მოხსენება „მ. გორკი და ქართული ლიტერატურა“ გააკეთა აკადემიკოსმა **გ. ჯიბლაძემ**. აკადემიკოსმა **მ. გაბდულინმა** თავის მოხსენებაში გააშუქა საკითხი, თუ რა გავლენა მოახდინა დიდმა საბჭოთა მწერალმა ყაზახური ლიტერატურის განვითარებაზე. კრებაზე მოხსენება „ჩვენ და ბავშვებს“ წაიკითხა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტმა **ლ. კასილმა**.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

#### ამხ. თ. ე. ჩხარტიშვილისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

**ქართული** საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. **თამარ ესტატეს ასულ ჩხარტიშვილს** მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

**თბილისი**, 1968 წლის 29 მარტი.

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## საყოველთაო ყურადღება და ზრუნვა საგამომცემლო საქმეს

ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში გამოდის დაახლოებით 76 ათასი წიგნი და ბროშურა, რომელთა საერთო ტირაჟი 1.300 მილიონს აღწევს, ათასობით გაზეთი და ჟურნალი. მილიონობით წიგნის მოყვარული, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების ხალხით სავსე დარბაზები, მოსახლეობის ყველა ფენის უზარმაზარი მოთხოვნა ლიტერატურაზე — ყოველივე ეს მოწმობს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში კულტურული მშენებლობის წარმატებებს, საბჭოთა საზოგადოების სულიერ ზრდას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა დააკმაყოფილონ მასების მზარდი მოთხოვნილებანი კარგ წიგნზე, გაზეთზე, ჟურნალზე, საერთოდ კარგ გამოცემაზე, უზრუნველყონ საგამომცემლო საქმის განვითარება იდეოლოგიური მუშაობის, სახალხო განათლებისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საარსებო ამოცანების შესაბამისად. პარტია და მთავრობა მოითხოვენ ყოველი ღონისძიებით სრულყოთ წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემის დიდი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური საქმე.

საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარება მოითხოვს პოლიგრაფიული ბაზის განმტკიცებას. პოლიგრაფია დღეს ინდუსტრიის დიდი, რთული დარგია. ხუთწლედის წლებში დასახულია ჩვენს ქვეყანაში აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნეს დაახლოებით 50 მსხვილი საგაზეთო-საჟურნალო სტამბა და პოლიგრაფიული კომბინატი, დაინერგოს ახალი მოწყობილობა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს გამოცემათა მხატვრული გაფორმება და პოლიგრაფიული შესრულება.

ჩვენი ქვეყანა ეგებება შესანიშნავ იუბილეს — კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. საქართველოს მშრომელები ემზადებიან რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის დღესასწაულისათვის, კარზეა მომდგარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი, დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი. ყველა ეს და სხვა თვალსაჩინო მოვლენები ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საგამომცემლო საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი რესპუბლიკაში პოლიგრაფიული მრეწველობისა და საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოში გაწეულია გარკვეული მუშაობა საგამომცემლო საქმის გაუმჯობესებისათვის, პოლიგრაფიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და წიგნის ვაჭრობის გაფართოებისათვის. ამაღლდა გამოშვებული ლიტერატურის იდეურ-თეორიული და მხატვრული დონე, გაუმჯობესდა ნაბეჭდი პროდუქციის პოლიგრაფიული შესრულება.

მაღალი შეფასება დაიმსახურეს ქართულმა წიგნებმა, რომლებიც ექსპონირებული იყო დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საერთაშორისო წიგნის გამოფენაზე. ხოლო რესპუბლიკის გამომცემლობის მიერ გამოშვებულმა წიგნმა „არსენას ლექსი“, რომელიც შეასრულა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ბანძელაძემ, ლაიფციგის კონკურსზე — „მსოფლიოში უმშვენიერესი წიგნი“ (1967 წელი) მიიღო საერთაშორისო დიპლომი.

ამ ბოლო წლებში აღადგინეს და ახლად შექმნეს 44 რაიონული სტამბა, საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი პოლიგრაფიული საწარმოები ქუთაისში, ცხინვალში, ბოლნისში, სამტრედიაში, აითვისეს ახალი თანამედროვე პოლიგრაფიული მოწყობილობა, წარმოებაში დანერგეს სინთეზური მასალები.

რესპუბლიკაში პოლიგრაფიული და წიგნის ვაჭრობის შემდგომი განვითარების 1968-1975 წლების გეგმით გათვალისწინებულია აშენდეს სარემონტო-მექანიკური ქარხანა და ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა თბილისში, საგაზეთო სტამბები და რედაქციები ქუთაისში, საქალაქო სტამბები რუსთავში, გორში, თელავში, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ობიექტები. დასახულია თბილისის მოქმედი ბეჭდვის კომბინატის, ქუთაისის წიგნის სტამბის, თბილისის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

რესპუბლიკაში გაიზარდა წიგნის ვაჭრობის საქონელბრუნვა, სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება გეგმები, ლიკვიდირებულია საწიგნვაჭრობის საწარმოს ზარალიანობა. გათვალისწინებულია შეიქმნას ახალი და გაფართოვდეს არსებული წიგნის ბაზები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში. მაგრამ, როგორც აღნიშნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, პოლიგრაფიული ბაზისა და წიგნის ვაჭრობის ქსელის ახლანდელი მდგომარეობა აფერხებს საგამომცემლო საქმისა და წიგნის ვაჭრობის შემდგომ განვითარებას, ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ნაბეჭდ პროდუქციაზე. ჭიანურდება ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისა და წიგნის პალატის მშენებლობა თბილისში. რესპუბლიკის მთელ რიგ გამომცემლობებს აკლიათ სათავსოები. ასეთსავე მდგომარეობაში არიან გაზეთის სტამბები სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, რუსთავში, ახალქალაქში, დმანისსა და სხვა ქალაქებში. აკლიათ საშუალო და უმაღლესი პოლიგრაფიული განათლების სპეციალისტები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს პოლიგრაფიული მრეწველობისა და საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქმედი პოლიგრაფიული საწარმოების სიმძლავრეთა მაქსიმალურ გამოყენებას, პროდუქციის პოლიგრაფიული შესრულების გადაჭრით გაუმჯობესებას, წიგნის ვაჭრობის განვითარებას, საგამომცემლო საქმის შემდგომ სრულყოფას, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრებით პოლიგრაფიულ საწარმოთა უზრუნველყოფას, ახალგაზრდა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, აბაშის, ასპინძის, ახალქალაქის, ვანის, გარდაბნის, დმანისის, დუშეთის, კასპის, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სიღნაღის, ხაშურის, წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად წინადადება მიეცათ 1969-1971 წლებში განახორციელონ რაიონული სტამბების მშენებლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს აპარატში შეიქმნება რაიონული პოლიგრაფიის მუშაობის სახელმძღვანელო განყოფილება.

პარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ მუდამ იზრუნონ წიგნის გამომცემლობების, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციების, პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის საწარმოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, დააწესონ სისტემატური კონტროლი პოლიგრაფიული მრეწველობისა და წიგნის ვაჭრობის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისადმი, მათი საექსპლოატაციოდ დროზე გადაცემისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დასახეს აგრეთვე რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის შემდგომი სპეციალიზაციის, ქაღალდისა და ნაბეჭდი პროდუქციის ტრანსპორტირების გაუმჯობესების, პოლიგრაფიული მრეწველობის სპეციალისტ-ტექნოლოგების მომზადების, წიგნის გამოცემისა და წიგნის ვაჭრობის გაფართოების და სხვა ღონისძიებანი. (საქდესი).


კომუნისტი

მე-2 გვერდი, კვირა,
31 მარტი, 1968 წ.

# საზღვარგარეთის ხრონიკა

**მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები გვატყობინებენ**

## მძიმე დანაკლისი ყველასათვის

**იტალია**

რომი. (საკდესი). ხალხი განუწყვეტელ ნაკადად მოდის სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული ი. ა. გაგარინის პორტრეტთან. იქვე ცოცხალ ყვავილთა უამრავი თაიგულებია. ელექტრონიკის, ატომური ტექნიკის, ტელე-რადიო — და კინოაპარატურის XV საერთაშორისო გამოფენაზე რომში საბჭოთა პავილიონი გადაიქცა ადგილად, სადაც მრავალი იტალიელი მოდის, რომ გამოთქვას სამძიმარი, გაიზიაროს საბჭოთა ადამიანების მწუხარება. პავილიონის შესასვლელთანაა უზარმაზარი კოსმოსური ხომალდი „ვოსტოკი“ და მისი მატარებელი რაკეტა — სწორედ ის ხომალდი, რომლითაც ი. ა. გაგარინმა მსოფლიოში პირველმა მოახდინა კოსმოსური ფრენა.

**შვეიცარია**

ჟენევა. (საკდესი). როცა შვეიცარიის რადიოთი „უკანასკნელ ცნობებს“ გადასცემენ, დიქტორი ყოველთვის წარმოთქვამს სიტყვებს: „დაიღუპა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი იური გაგარინი“.

გაზეთი „ტრიბუნ დე ჟენევი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს ამ ტრაგიკულ ცნობას და „კოსმოსური ერის კოლუმბს“ უძღვნის ი. ა. გაგარინს.

**ურუგვაი**

მონტევიდეო. (საკდესი). იური გაგარინის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი აცნობა პირველად ურუგვაელებს ადგილობრივმა რადიომ, რომელმაც შეწყვიტა ჩვეულებრივი გადაცემები, რათა ეუწყებინა საბჭოთა კოსმონავტისა და მისი ამხანაგის ინჟინერ-პოლკოვნიკის ვლადიმერ სერიოგინის სიკვდილის ამბავი. ცნობებს ამის შესახებ ბეჭდავს ურუგვაის დედაქალაქის ყველა გაზეთი.

სსრ კავშირის მონტევიდეოს საელჩოში მოდიან ურუგვაელები, რათა თავიანთი მწუხარება გამოთქვან უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა ხალხს, მოდის სამძიმრის დეპეშები.

**ჩეხოსლოვაკია**

პრაღა. (საკდესი). გაგარინის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება სამუდამოდ კაცობრიობის მეცნიერებისა და პროგრესის მსოფლიო ისტორიაში, ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დეპეშაში, რომელიც საბჭოთა საელჩოს გაუგზავნა.

ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის დეპეშაში ხაზგასმულია, რომ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობისათვის იური გაგარინის სახელი კოსმოსის გმირული ათვისების სიმბოლოდ დარჩება.

## მდგომარეობა პანამაში

ნიუ-იორკი, 29 მარტი. (საკდესი). პანამაში გრძელდება პრეზიდენტ რობლესის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შეტაკებანი. პანამის ეროვნულმა კრებამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება პრეზიდენტ რობლესის გადაყენების შესახებ. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, პანამის დედაქალაქში ეროვნული გვარდიამ გუშინ ცრემლსადენი აირები გამოიყენა დემონსტრანტთა გასარეკად, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ რობლესს პრეზიდენტის პოსტი უკავია. პასუხად დემონსტრაციის მონაწილეებმა ჯარისკაცებს ჯოხები და ქვები დაუშინეს და გადააბრუნეს რობლესის მთავრობის წარმომადგენელთა რამდენიმე ავტომანქანა.

## ლ. სვობოდა — ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი

პრაღა, 30 მარტი. საკდესის კორესპონდენტები ტ. მარტინოვა და ჰ. დიევი გვატყობინებენ:

დღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ლუდვიკ სვობოდა.

დილით ისტორიულ ვლადისლავის დარბაზში, სადაც ტრადიციით ეწყობა ხოლმე პრეზიდენტის არჩევნები, შეიკრიბნენ ეროვნული კრების, სლოვაკეთის ეროვნული საბჭოს დეპუტატები, მთავრობის წევრები. სესიას ესწრება მრავალი სტუმარი — ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ჩეხოსლოვაკიელი და უცხოელი ჟურნალისტები.

კრება გახსნა ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბ. ლაშტოვიჩკამ. მან განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე დასახელებულია ამხანაგ ლუდვიკ სვობოდას კანდიდატურა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით, რომელიც მოიწონა ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა.

შემდეგ ბ. ლაშტოვიჩკამ სიტყვა მისცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. დუბჩეკს, რომელმაც დაასაბუთა ეს წინადადება. ა. დუბჩეკმა თქვა, რომ ლუდვიკ სვობოდას სახელი განუყოფლადაა დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრადიციებთან და სოციალისტურ მშენებლობასთან ჩეხოსლოვაკიაში. ლუდვიკ სვობოდას კარგად იცნობენ ჩეხი და სლოვაკი ხალხი, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები.

მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, სახალხო არმიის მეომრები, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, თქვა დასასრულ ა. დუბჩეკმა, ათასობით რეზოლუციაში, წერილებსა და დეპეშებში მხურვალედ უჭერენ მხარს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე არმიის გენერალ ლუდვიკ სვობოდას კანდიდატურას.

დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით ერთსულოვნად აირჩიეს ამხანაგი ლუდვიკ სვობოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ დადო ფიცი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების წინაშე.

პრაღის კრემლზე აღიმართა პრეზიდენტის დროშა.

◆



ნახ. გაზეთ „ნოიეს ლებენიდან“.

## ორი გზა დოლარის გადასარჩენად

ამ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში შეიკრიბა „ოქროს პულის“ მონაწილე ქვეყნების — შეერთებული შტატების, ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, შვეიცარიის, ბელგიისა და ჰოლანდიის წარმომადგენელთა საგანგებო კონფერენცია, რათა შეემუშავებინათ სასწრაფო ღონისძიებანი საფინანსო-სავალუტო სისტემის გადასარჩენად.

საფინანსო სპეციალისტთა აზრით, „ოქროს პულის“ მონაწილე ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებს ორი გზა ჰქონდათ. ერთი მათგანი, ყველაზე მარტივი ის იყო, რომ გაეზარდათ ოქროს ფასი დოლართან შედარებით. მაგრამ ეს იქნებოდა დოლარისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ვალუტის დევალვაცია. შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა უარყვეს ეს გზა. დოლარის დევალვაცია პრეზიდენტის არჩევნების წელს უაღრესად სარისკო ამბავი იქნებოდა ჯონსონის მთავრობისათვის, რომელიც ისედაც არ არის პოპულარული. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებს სულაც არ სურდათ, რომ ოქროს ფასის გაზრდის შედეგად მოგებული დარჩენილიყვნენ ოქროს მსხვილი მფლობელები (როგორიცაა საფრანგეთი, რომელიც არ მოიწვიეს ვაშინგტონის კონფერენციაზე) ან ოქროს მსხვილი მწარმოებლები (როგორიცაა, მაგალითად საბჭოთა კავშირი).

მეორე გზა იყო შეენარჩუნებინათ ოქროს ახლანდელი ფასი დოლარისადმი ნდობის განმტკიცების საშუალებით. დოლარისადმი ახლანდელი უნდობლობის მთავარი მიზეზია შეერთებული შტატების მერყევი საგადამხდელო ბალანსი, რაც ვიეტნამის ომთან დაკავშირებული უდიდესი სამხედრო ხარჯების შედეგია. კონფერენციის მონაწილეებმა თავიანთ კომუნიკეში აღნიშნეს, რომ უპირველესი ამოცანაა ამერიკის საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება“. შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ ამას მიაღწევს 10 პროცენტით გადასახადების გაზრდის (ამ კანონპროექტს ახლა განიხილავენ), ბანკის საალრიცხვო განაკვეთის გაზრდისა და სხვა ღონისძიებათა გზით.

ვაშინგტონის კონფერენცია იძულებული გახდა შემოეღო ვალუტის გაცვლის ახალი სისტემა, რომელსაც უწოდეს „ორნაირი ოქროს ბაზარი“, ან „ოქროს ორი ფასი“. ამ სისტემის არსი შემდეგია: ოქროს ფასი — 35 დოლარი უნციაში — რჩება მხოლოდ „სავალუტო ორგანოების“, ე. ი. სახელმწიფოთა ცენტრალური ბანკების გარიგებების დროს, მაშინ როცა „თავისუფალ ოქროს ბაზარზე“ ფასი წესდება შექმნილი კონიუნქტურის შესაბამისად.

არსებითად ეს ღონისძიება ნიშნავს დოლარის ფარულ დევალვაციას. „თავისუფალ ბაზარზე“ უნცია ოქროს ფასმა 40 დოლარს მიაღწია და ყველა მონაცემია, რომ ეს ფასი უფრო გაიზრდება.

საგანგებო ღონისძიებანი „დოლარის გადასარჩენად“, რომლებიც ვაშინგტონის კონფერენციამ დასახა, ჯერ ერთი ხელოვნურია და, მეორეც დროებითი. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ ოქროს ფასის ორნაირი სისტემა „დროებითი ღონისძიებაა, რომელმაც სული უნდა მოათქმევინოს საფინანსო ორგანოებს, რაც მათ ძალიან სჭირდებათ“. დასავლეთის ეკონომიკისა და ფინანსების სპეციალისტები შეშფოთებით კითხულობენ: რამდენ ხანს გაგრძელდება ეს „შესვენება“? ყველაზე ოპტიმისტურ პასუხშიც კი მერყეობა და შეშფოთება იგრძნობა. (საკდესი).

## ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 29 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმთან და პლენუმის მიერ 28 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებებთან. ამას იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

პრეზიდიუმის წევრებმა განიხილეს ცნობა აგრეთვე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრის შედეგების, შესახებ მოიწონეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის საქმიანობა და მიესალმნენ შეხვედრის შედეგებს, განსაკუთრებით გადაწყვეტილებას, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი მოიწვიონ მიმდინარე წლის დამლევს მოსკოვში.

## სასახლის გადატრიალება გვატემალაში

პარიზი, 30 მარტი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გვატემალის პრეზიდენტმა ხულიო სესარ მენდეს მონტენეგრომ გადააყენა თავდაცვის მინისტრი პოლკოვნიკი ბოსკე, პოლიციის უფროსი პოლკოვნიკი მანუელ სოსა ავილა და პარტიზანებთან ბრძოლის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი კარლოს არანია. თავისი პოსტიდან გადაყენებულია აგრეთვე პრეზიდენტის დაცვის უფროსი.

გადაყენებული პოლკოვნიკები ითვლებიან მთავარ ხელმძღვანელებად სისხლიანი ტერორისა, რომელიც მთავრობამ გააჩაღა პროგრესული და პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. მოქალაქეთა მასობრივმა ჟლეტამ აღაშფოთა მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენები. დიქტატორის კიდევ უფრო გამწვავების შიშით პრეზიდენტმა მენდესმა გადაწყვიტა ჩადენილი დანაშაული მთლიანად გადააბრალებინა უშუალოდ მისი ბრძანებების შემსრულებლებისათვის და ამიტომ მოაშორა ისინი მთავრობას.

მაგრამ, ადგილობრივი პრესის აზრით, ეს ვერ შეცვლის პოლიტიკას, რომელსაც ახლანდელი ხელისუფალნი ადგანან.

## ბირმის მოსახლეობა

რანგუნი. ბირმის მოსახლეობა შეადგენს 26.300.000 კაცს და 1974 წელს მიაღწევს 30 მილიონს. მოსახლეობის ყოველწლიური მატება, როგორც იუწყებოდა ამ დღეებში გაზეთი „უორკინგ პიპლზ დეილი“, 600-700 ათას კაცს აღწევს.

### საბჭოთა ხელოვნება უცხოეთში

## ოვაციები კარნეგი-ჰოლში

ნიუ-იორკი. (ახალი ამბების სააგენტოს კორ.) ამერიკის შეერთებული შტატებში დიდი წარმატებით ჩაიარა არამ ხაჩატურიანის გასტროლებმა. მისი ზოგიერთი ნაწარმოები აქ ცნობილია არა მარტო მუსიკოს-სპეციალისტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებრიობისთვისაც.

ჩასვლისთანავე ა. ხაჩატურიანი მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა. მან თხოვნით მიმართა საბჭოთა კომპოზიტორს დაწეროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის მუსიკალური ნაწარმოები, რომელშიც ასახავს ჰპოვებს მშვიდობისა და სამართლიანობისათვის ხალხთა გაერთიანების იდეა.

საბალეტო მუსიკის დაწერის თაობაზე ხაჩატურიანს თხოვნით მიმართა აგრეთვე ცნობილმა ამერიკელმა ქორეოგრაფმა ბალანჩინმა.

პირველ ორ კონცერტზე ხაჩატურიანის რაპსოდიას ვიოლონჩელისა და ორკესტრისათვის ასრულებდა მსტისლავ როსტროპოვიჩი.

დანარჩენ 13 კონცერტში კი როსტროპოვიჩი მისმა ნიჭიერმა მოწაფემ 22 წლის კარინე გეორგიანმა შეცვალა.

ა. ხაჩატურიანმა უდირიჟორა საუკეთესო მუსიკალურ კოლექტივებს, რომლებიც მის ნაწარმოებებს ასრულებდნენ. უვე-

**სტოკოვსკის მადლობა**

◆

ლა 15 კონცერტი ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ინდიანა-პოლისში, დეტროიტში, ჰარტფორდში, კანზას-სიტსა და როჩესტერში ხალხით გაჭედილ დარბაზებში გაიმართა. საბჭოთა კომპოზიტორის კონცერტებს 40 ათასი კაცი დაესწრო.

აი პრესის ზოგიერთი დამახასიათებელი გამოხმაურება: „ხაჩატურიანის სიმფონია დიდებული პროპორციების ნაწარმოებია. ეს არის კლასიკური სკოლის სახალხო კომპოზიტორის ქმნილება...“

„ხაჩატურიანმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რას მოითხოვდა ორკესტრისაგან და ეს უკანასკნელიც უპასუხებდა პირველხარისხოვანი შესრულებით, რამაც საშუალება მისცა კომპოზიტორსა და დირიჟორს გამოევლინებინა მთელი თავისი შესაძლებლობანი“.

„არამ ხაჩატურიანი მარტო თავის ხალხის შვილი როდია, იგი საერთოდ კაცობრიობის წარმომადგენელია... მან თქვა, რომ სურს მისი მუსიკა ყვარდეს“. მაღელვებელი ოვაცია, რომელიც ფეხზე ადგომით გაუმართეს კონცერტის დამთავრების შემდეგ, მოწმობს, რომ მას სურვილი სინამდვილედ ექცა. ეს იყო ოვაცია კომპოზიტორისადმი, რომელიც დაიბადა საბჭოთა კავშირის სამხრეთში, საქართველოში, სომხურ ოჯახში, და რომელიც ცნობილი გახდა მისი სახლიდან ათასობით მილით დაშორებულ მხარეში — ამერიკის ცენტრში მცხოვრები ადამიანებისათვის“.

კონცერტის შემდეგ კარნეგი-ჰოლის კულისებში დაეწყო დიდი რიგი მსმენელებისა, რომლებსაც სურდათ მადლობა ეთქვათ ხაჩატურიანისათვის, მისი ხელოვნებისათვის. ამ რიგში იდგა შესანიშნავი ამერიკელი დირიჟორი ლეოპოლდ სტოკოვსკიც.

## სამართლიანი მოთხოვნა

ნიუ-იორკი, (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა, რომ მტკიცედ დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მშვიდობის დაცვის ოპერაციათა საკითხში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ოპერაციათა სპეციალურ კომიტეტში (33 ქვეყნის კომიტეტი) გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პ. დ. მოროზოვი, რომელმაც განაცხადა, რომ წესდების დებულებანი ერთადერთი სწორი და პერსპექტიული გზაა, რითაც უნდა იხელმძღვანელოს კომიტეტმა თავის მუშაობაში.

## დამთავრდა სამხედრო თათბირების რაუნდი

ვაშინგტონი, საკდესის კორესპონდენტი ა. მელიქიანი იუწყება:

სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილემ გენერალმა აბრამსმა დაამთავრა ორი დღის ვიზიტი ვაშინგტონში. დროის ყველაზე მეტი ნაწილი მან თეთრ სახლში გაატარა, ეთათბირებოდა პრეზიდენტ ჯონსონს, და დაესწრო ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას. ყველა ეს თათბირი მიმდინარეობდა უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში.

ოფიციალური განცხადებების თანახმად, ამ თათბირებზე იხილავდნენ საკითხს საიგონის მარიონეტული არმიის „იარაღით აღჭურვისა და მოდერნიზაციის“ შესახებ. მაგრამ ამერიკელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტმა ამერიკის დედაქალაქში გენერალი აბრამსი მოიწვია, რათა უშუალოდ მიეღო დაწვრილებითი ინფორმაცია სამხრეთ ვიეტნამის მდგომარეობის შესახებ, ვიდრე ომის შემდგომი ესკალაციის ღონისძიებებს განახორციელებდეს.

ამერიკის პრესა კვლავ წერს, რომ აპირებენ სამხრეთ ვიეტნამში ჯარების დამატებითი კონტინგენტის გაგზავნას. გაზეთები იუწყებიან, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გაგზავნიან 35-40 ათას ჯარისკაცს. თეთრი სახლი თავის მხრივ არა თუ უარყოფს ამ ცნობებს, არამედ არაპირდაპირ ადასტურებს კიდეც მათ. მაგალითად, პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 27 მარტს გაიმართა, თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში კრისტიანმა განაცხადა, რომ დამატებითი ჯარების რიცხვი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ტემპით შეძლებს თავისი არმიის გადიდებას საიგონი.

დედაქალაქში გენერალ აბრამსის ვიზიტს, რომელსაც უწინასწარმეტყველებენ გენერალ უესტმორლენდის ადგილს, რადგან მან ვერ გაამართლა ვაშინგტონის იმედები. როგორც ჩანს, მოჰყვება ვიეტნამის ომის გაფართოების ახალი ღონისძიებანი.

### მოგზაურობა ფოტოაპარატით





მალის რესპუბლიკა. ლამაზი სანახავია ტიმბუქტუდან 8 კილომეტრის დაშორებით მდებარე სამდინარო ნავსადგურ კაბარას ცენტრალური მოედანი. სონრაები, მავრები, ტუარეგები, სხვა ხალხების წარმომადგენლები, რომლებიც ტიმბუქტუსა და მის მიდამოებში ცხოვრობენ, თავიანთ მრავალფეროვან ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი, ხშირად იკრიბებიან აქ, რათა ნახონ მდინარეზე მცურავი კარჭაპები, ისაუბრონ ან გაემგზავრონ მდინარე ნიგერით დედაქალაქ — ბამაკომდე.

მიწური სახლები. ვიწრო ქუჩები — ასეთია ძველი აფრიკული ქალაქი ტიმბუქტუ, წარსულში სავაჭრო და ისლამის სამეცნიერო ცენტრი.

## შრომა და კაპიტალი

**იაპონია**

ტოკიო. 26 მარტს იაპონიაში გაიმართა გაფიცვები. მუშაობა შეწყვიტეს უდიდეს ეროვნულ კომპანიათა მაღაროელებმა. ორ საათს არ მუშაობდა ქიმიური მრეწველობის 57 უდიდესი საწარმო, გაიფიცნენ რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, მბეჭდავები, მელითონეები, გამომცემლობათა მუშები. ისინი ილაშქრებენ სიძვირის წინააღმდეგ, ხელფასის მომატებისათვის.

**იტალია**

რომი. ქალაქ იგლეზიასში (სარდინიის კუნძული) კომპანიების „მონტედისონისა“ და „პეტრუსოლის“ მაღაროებში ათასზე მეტმა მეშახტემ შეწყვიტა მუშაობა 50 ამხანაგის დათხოვნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

მეშახტეები ქალაქის ცენტრალური ქუჩებით მივიდნენ მუნიციპალიტეტის შენობასთან და დაიკავეს იგი. განცხადებაში, რომელიც მაღაროელთა პროფკავშირმა გამოაქვეყნა, ნათქვამია, რომ გაფიცულთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დარჩნენ მუნიციპალიტეტში, სანამ ხელისუფალნი სასწრაფო ღონისძიებებს არ განახორციელებენ მშრომელთა მასობრივი დათხოვნების შესაწყვეტად. მარტო ამ ბოლო თვეებში, აღნიშნულია განცხადებაში, სარდინიაში დაითხოვეს 1.500 მაღაროელი.

**ესპანეთი**

როგორც რეიტერის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი გვატყობინებს, 700-მდე მადრიდელი მელითონე მუშა ესწრებოდა მიტინგს, რომელიც მოაწყო არალეგალურმა მუშათა მოძრაობამ. მიტინგის მონაწილენი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. პოლიციელებმა მიტინგის ბევრი მონაწილე დააპატიმრეს.

**მალაიზია**

სინგაპური. მალაიზიის პლანტაციათა მუშების ეროვნულმა პროფკავშირმა მიაღწია კაუჩუკის პლანტაციათა მუშების ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. საარბიტრაჟო სასამართლომ, რომელმაც პროფკავშირის მოთხოვნები გაარჩია, დაადგინა, რომ მომავალში კაუჩუკის პლანტაციათა მუშების ხელფასი დამოკიდებული არ უნდა იყოს კაუჩუკის მსოფლიო ფასებზე, რომლებიც სტაბილური არ არის

**ესეც შენი „თავისუფალი სამყარო“!**

# „ბები“ პოტომაკის ნაპირებიდან

## სიკვდილის ვაჭრები

არავინ არ იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდა მარსელ ლეოპოლდი. მის სადარბაზო ბარათზე მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „ბიზნესმენი“. ამ თავაზიანი ბურჟუას შეხედვაზე ვის მოუვიდოდა ფიქრად ჟენევაში, რომ იგი მოკვდებოდა არა თავისი სიკვდილით. მით უმეტეს ასეთი უჩვეულო სიკვდილით.

1957 წლის ივლისის ერთ ღამეს, როცა ლეოპოლდი თავის ცისფერ „იმპალაში“ ჯდებოდა, ზურგში ისარი ჩაესო. ლეოპოლდი თითქმის ერთ წამში მოკვდა. ისრის წვერი გაჟღენთილი იყო კურარეს შხამით...

მარსელ ლეოპოლდის სიკვდილი პირველი როდი იყო საიდუმლოებით მოცული შემთხვევების, აფეთქებებისა და საავტომობილო კატასტროფების სერიაში, რომლებიც დარბაისელ ბიზნესმენებს შეემთხვევათ ევროპის სხვადასხვა კუთხეში.

ჰამბურგში ააფეთქეს ვინმე ოტო შლუტერის მაღაზია. ციურიხში ტყვიამფრქვევის ჯერით დაცხრილეს პაულ შტაუფერი. ასეთი ბედი ეწია კიდევ ათ ნეგოციანტს. ლეოპოლდის საფულეში იპოვნეს „ინტერნეშნლ არმამენტ კორპორეიშნის“ (შემოკლებით „ინტერარმკო“) მიუნხენელი აგენტის ბარათი, რომელშიც კამპანიის მფლობელის მისტერ კამინგსის სახელით ლეოპოლდს გარიგებას სთავაზობდნენ. ლეოპოლდმა, როგორც ჩანს, გარიგებაზე უარი თქვა...

„ინტერარმკოს“ საქმიანი წინადადებანი აღმოჩნდა იმ სხვა ბიზნესმენთა სეიფებში, რომლებიც ასე სასწრაფოდ გაემგზავრნენ საიქიოს.

საქმე ის არის, რომ ყველა ისინი, ისევე როგორც მისტერ კამინგსი, ერთ საქმეს მისდევდნენ — იარაღით ვაჭრობდნენ. სწორედ ამიტომ კონკურენტებს სპობდნენ გასაყიდ „ნაკეთობათა“ მთელი ასორტიმენტის გამოყენებით. ხოლო იარაღის ბაზრის ვეშაპთა საქმიანობის გეოგრაფიისათვის თვალის გადევნება სულ ადვილად შეიძლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, შვეციის, ლიბერიისა და თვით ლიხტენშტეინის კრიმინალური პოლიციის ჩანაწერების მიხედვით. ევროპის ამ პატარა სამთავროში ომის ცოტა ხნის შემდეგ მოიკალათა კიდევ ერთმა მთავარმა (არალეგალურმა) — ვინმე ალოის ფოჯტმა. მან პირველმა მოაწოდა 1961 წელს ანგოლაში მყოფ პორტუგალიის საექსპედიციო კორპუსს 40 ათასი შაშხანა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იარაღს არალეგალურად ჰყიდდა ვინმე ლ. ვ. კოლერი, რომელსაც ხელში უცნობი გზებით ჩაუვარდა იარაღი ნატოს ნაწილების არსენალებიდან.

შვეიცარიაში ამავე ასპარეზზე მოღვაწეობს მაქს ზიმერლი.

თვითეულ ამ „სიკვდილის ვაჭარზე“ შეიძლება ათობით, დეტექტიური რომანი დაიწეროს, რომლებიც მკვლელობების, ძარცვისა და ქურდობის რაოდენობით ბევრად გადააჭარბებენ გამოგონებული დეტექტიური რომანების ყველაზე სისხლიან შედევრებს. აქ მოგითხრობთ ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც ალბათ ყველაზე კოლორიტულია.

სემ კამინგსი, ომი რომ დამთავრდა, სულ თვრამეტი წლისა იყო. იგი ევროპაში ჩავიდა. ნორმანდიის სანაპიროზე ყველგან ეყარა დაზიანებული ტანკები, ზარბაზნები სანგრებიდან და საცეცხლე წერტებიდან თავი ამოეყოთ შაშხანებსა და ტყვიამფრქვევებს. ადამიანები მეტად დიდხანს ოცნებობდნენ მშვიდობაზე და ახლა არავის არა ჰქონდა ხალისი ეფიქრა თოფებისა და ზარბაზნების შეგროვებასა და შეკეთებაზე მომავალი ომებისათვის, მაგრამ კამინგსმა ძველი, გადაყრილი იარაღის გროვებში დაინახა დოლარები, მილიონობით დოლარი.

დაიწყო უბრალო რამით. შეაკეთებდა გადაყრილ თოფებს და იაფად მიჰყიდდა ხოლმე მონადირეებს და დამწყებ განგსტერებს. მისი კაპიტალი ნელა იზრდებოდა, გაცილებით უფრო ნელა, ვიდრე ევროპიდან გატანილი ძველი იარაღის მარაგი მის პირველ საწყობში ოკეანის გაღმა პოტომაკის ნაპირზე. წარმატება მოულოდნელად მოვიდა. ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ შექმნილი აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დაინტერესდა მრავალსახიანი „ბების“ (როგორც კამინგსს მისი მეგობრები ეძახდნენ) საქმეებით. მასთან მაღაზიაში მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „მაცდუნებელი“ და კრედიტი შესთავაზა. ახალმა შეფებმა „ბების“ სრული თავისუფლება მიანიჭეს: მას შეეძლო რა მეთოდებითაც უნდოდა ეკეთებინა მილიონები, ოღონდ ერთი პირობით: მყიდველებს საზღვარგარეთ მას მხოლოდ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ურჩევდა. (კამინგსს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან რომ ჰქონდა კავშირი, ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 1961 წელს, მას შემდეგ, რაც ჟურნალმა „ნიუსუიკმა“ გამოაქვეყნა სტატია „სიკვდილის ვაჭრების“ შესახებ. მართალია, მაშინ მასზე ლაპარაკობდნენ უკვე როგორც „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილ თანამშრომელზე“ — საზღვარგარეთ ამერიკის დაზვერვის ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის ისეთი საიმედო „სახურავის“ ხელის ხლება, როგორიც „ინტერარმკოა“, ესოდენ გაიძვერიანი ჟურნალისთვისაც კი საშიში იყო).

კამინგსის საქმეები მალე აღმავლობის გზით წარიმართა. 1953 წელს მან მიიღო თავისი პირველი დიდი შეკვეთა ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში შაშხანების მიწოდებაზე. ესოდენ სოლიდური მარაგი მის საწყობში არ იყო. მაშინ კამინგსი ევროპაში გაფრინდა.

ჰოლანდიაში მან ჩალის ფასად იყიდა რამდენიმე გადარჩენილი „მესერშმიტი“. რამდენიმე დღის შემდეგ — ათიოდე ჰურვი ფაუ-1 გასაშვებ დანადგარებთან ერთად. იქვე შეიძინა „ჯონსონის“ მარკის ნახევრადავტომატური შაშხანების პარტია. 1938 წელს ჰოლანდიის მთავრობა შეერთებულ შტატებს ამ შაშხანებში ცალში 69 დოლარს უხდიდა. კამინგსმა სულ რაღაც ხუთ-ხუთი დოლარი გადაიხადა და ამ გარიგებაზე 300 პროცენტი მოგება მიიღო. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოდან მოგზავნილი „მაცდუნებლის“ პირველი ვიზიტის რამდენიმე წლის შემდეგ კამინგსმა მიატოვა თავისი მოძველებული საწყობი და ალექსანდრიაში (ვაშინგტონის ახლოს) ააშენა მთელი ნავსადგური ცხრა უზარმაზარი არსენალით, რკინიგზის შტოებითა და დოკებით, თვითონ კი მონტე-კარლოში მოიკალათა უზარმაზარ სასახლეში. დროთა მსვლელობაში მას საკუთარი ბაზები გაუჩნდა მსოფლიოს ყველა კუთხეში. და არცთუ ძალიან აზვიადებს კამინგსი, როცა ამბობს: „მე მეტი სასროლი იარაღი მაქვს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის არმიებს ერთად ...მე შემიძლია რა დროსაც მინდა შევაიარაღო მთელი ჯარი“. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში მის საწყობებში მუდამ არის 400 ათასი შაშხანა, 35 ათასი ტყვიამფრქვევი, 100 მილიონი ვაზნა და ათასამდე საარტილერიო ქვემეხი.

1957 წლის იანვარში შვეციიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გავიდა პირთამდე დატვირთული ტრანსპორტი. გემის უწყისის „ტვირთის“ გრაფაში აღნიშნული იყო: „სასოფლო-სამეურნეო მანქანები“. „ინტერარმკოს“ ნავსადგურში ტვირთი სწრაფად გადაიტანეს სხვა გემზე. გემი მაშინვე გავიდა ზღვაში. სანაპირო დაცვის გემებმა თავისუფლად გაუშვეს იგი ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიული წყლებიდან. ორი დღის შემდეგ ხომალდი სანტო-დომინგოში ჩავიდა. აქ დასამალავი აღარაფერი იყო. ბრეზენტის ქვეშ სათიბი მანქანები როდი იყო. დიქტატორ ტრუხილიოს სპეციალური შეკვეთით ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ კამინგსის მეშვეობით დომინგოს რესპუბლიკაში ჩაიტანა 26 ინგლისური რეაქტიული თვითმფრინავი „ვამპირი“.

„ინტერარმკომ“ წარმოშობის პროცესში მყოფ ბუნდესვერს შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების პირველი პარტია მიაწოდა პარიზის შეთანხმებათა ხელმოწერის ცოტა ხნის შემდეგ. ბედის ირონია ის იყო, რომ ჰიტლერელ გენერლებს მოუხდათ კამინგსისაგან ეყიდათ თავისივე საკუთარი ტყვიამფრქვევები, რომლებიც მათ მიატოვეს, ჰოლანდიიდან რომ გარბოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან პორტუგალიაში B-26 ბომდამშენების გადაგზავნის ცნობილი ოპერაცია „ბეოურა“, რაც ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 1966 წლის გაზაფხულზე მოაწყო, „ინტერარმკოს“ ვერდის ავლით როდი განხორციელებულა.

შემთხვევითი როდია, რომ კამინგსის ფირმა თავის სარეკლამო განცხადებებში ხმამაღლა აცხადებს თავის სრულ „აპოლიტიკურობას“. „წმინდა ბიზნესი“ მისი ოფიციალური ლოზუნგი და ოფიციალური კრედოა. ხოლო „აპოლიტიკური“ „ინტერარმკოს“ საფარველით ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს არაერთხელ გადაუგზავნია იარაღი იმ ქვეყნებში, სადაც ამერიკის მთავრობას, საზოგადოებრივი აზრის შიშით, არ შეეძლო თუნდაც ასიოდე ბრაუნინგი გაეგზავნა, თვითმფრინავებსა და ტანკებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ასევე მოეწყო B-26 თვითმფრინავებისა და შაშხანების მიწოდება სალაზარისათვის, რომელსაც ვაშინგტონში ოფიციალურად უარი უთხრეს სამხედრო დახმარებაზე. რა ბედენაა, თუ არაოფიციალურად ეს დახმარება მას „ინტერარმკომ“ გაუწია!

სწორედ ასევე თავის დროზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „უარი უთხრეს“ კატანგის „პრემიერ“ მოიზ ჩომბესაც. მაგრამ „ინტერარმკოს“ მონროვიის ფილიალისაგან ჩომბეს უარი არ მიუღია...

კამინგსმა თავისი ფილიალები გახსნა როდეზიაში და, რა თქმა უნდა, სამხრეთ აფრიკაში. ამ ქვეყნებთან ოფიციალური ამერიკა იარაღით არ ვაჭრობს. მაგრამ იარაღი, თანაც სავსებით თანამედროვე, სმიტსაც აქვს და ფორსტერსაც. ამ აფრიკულმა ბაზარმა, ალბათ, კამინგსის თქმით, „იარაღი ერთ-ერთი მყარი ვალუტაა“, მილიონობით დოლარი შესძინა „ინტერარმკოს“.

ცნობილი არ არის, ვინ მფარველობს ახლა მისტერ კამინგსის ფირმას. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: ოფიციალური ლოცვა-კურთხევა რომ არა, ბიზნესი, რომელსაც „სიკვდილის ვაჭრები“ ატრიალებენ, ვერასოდეს ვერ მიაღწევდა ასეთ გაქანებას.

ბ. ბუქურაული.

# მობურთალსა მოედანი...

## სტარტზეა სსრ კავშირის XXX ჩემპიონატი

## საიუბილეო!

[illegible]

## მომავალ შეხვედრამდე!

[illegible]

## ჩვენი საზრუნავი — ათლეტური მომზადება

[illegible]

## ხვალ ქუთაისსა და ლუჟნიკში

[illegible]



თბილისის „დინამოს“ გუნდი. ფოტო გ. გოგოხიასი.







ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდი. ფოტო თ. ჯღარკავასი.

ფეხბურთს ყოველ წლიწადს ვეგებებით. უკვე შემუშავებულია გარკვეული რიტუალები ამ დღისათვის. ადამიანთა შეგნებაში იგი უკვე ცოცხლობს როგორც დღესასწაული, თუმცა მისთვის ჯერ კიდევ არ უწოდებიათ ოფიციალურად „ფეხბურთელის დღე“. ერთი გაზეთიც არ დარჩება ისე, რომ ამ დღეს არ გამოაქვეყნოს მასალა ფეხბურთის თემაზე — ეს ისევე ტრადიციულია, როგორც პირველი სადღეგრძელო დღესასწაულზე.

ჩვენც ნუ დავარღვევთ ჩვეულებას. ჟურნალისტის ეს შენიშვნები დაე სადღეგრძელო იყოს. იტყვით, ცოტა გრძელიაო? მაშ სად, თუ არა საქართველოში, უნდა წარმოითქვას გრძელი სადღეგრძელო?

ფეხბურთის არსებობის ბევრი ფორმა არსებობს: საკონტროლო შეხვედრები, „ჟენძლას“ ტურნირი, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები. მაგრამ მაინც მისი მთავარი სიცოცხლეა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი. სწორედ ის არის ყველაზე საინტერესო ამბებისა და განცდების წყარო. ამ დღეს ყველაზე ამაღელვებელი დოკუმენტია მომავალი ჩემპიონატის სვეტებად დაყოფილი ცხრილი. იგი თითქოს ფასადია ახალი საცხოვრებელი სახლისა, რომელშიც სადაც არის დაიწყება ახალმოსახლეთა შესახლება.

ხშირად აუგად ვიხსენებთ ჩვენს საფეხბურთო წესებს, ვნანობთ, რომ მათ აკლიათ სიმტკიცე. ეს ალბათ სწორიც არის. მაგრამ ჩვენი ჩემპიონატები, კიდევაც თუ იცვლიან შემადგენლობასა და ფორმულას, არსებობენ, წლევანდელი უკვე ოცდამეათე იქნება, და ჩვენ ისინი გვიყვარს, მათ ღრმად განვიცდით.

მაგრამ იქნებ ყოველთვის ერთსა და იმავე პირებს ვხვდებით? ფეხბურთის თვით არსი უარყოფს საკითხის ასე დაყენების უფლებას. ეს ერთადერთი თავისებური თამაშია, რომელიც თუმცა უკვე 105 წელია არსებობს, მაგრამ განუწყვეტლივ გვაოცებს თავისი გამოცანებით, მდიდარია ახალ-ახალი გამონაგონით. ამიტომ მორიგი სეზონის ჩვენი შეხვედრები მხოლოდ გარეგნულად წააგავს ერთმანეთს, ყოველთვის ვხვდებით რაღაც პრობლემებს, რომლებიც წინათ არ ყოფილა.

ამჯერად რა გვაღელვებს?

გასული სეზონი თითქოს შუა გზაზე შეჩერდა და საბოლოოდ არცერთ მთავარ კითხვაზე არ უპასუხია არსებითად. ჩვენმა ნაკრებმა წარმატებით ჩაატარა კონტინენტის ჩემპიონატის შერჩევითი თამაშები და ევროპის პირველი ადგილიც კი მოიპოვა „ფრანს-ფუტბოლის“ კლასიფიკაციით. ეს სასიამოვნოა. მაგრამ ჩვენ ხომ გვესმის, რომ 1967 წელი მხოლოდ შესავალი იყო 1968 წლისა, როცა გადამწყვეტ მატჩებში მოცემული იქნება საბოლოო შეფასება. ჩვენს ნაკრებს კი წელს „შეამოწმებენ“ უფრო მკაცრი მასწავლებლები. მარტო უნგრელები რადა ღირს!

გასულ წელს არცერთ ჩვენს კლუბს არ შეეძლო გულდამშვიდებით განეცხადებინა, რომ გააკეთა ყველაფერი, რის გაკეთებაც ძალუძდა, რომ მას მთლიანად აკმაყოფილებს სეზონი. სხვა ასეთი შემთხვევა ჩვენი ჩემპიონატების ისტორიაში მე რაღაც არ მახსოვს. ეს კი უმთავრესად აიხსნება იმ ცვლილებებით, იმ ახალი მოთხოვნებით მოთამაშეებისა და გუნდებისადმი, რომლებიც თანამედროვე ფეხბურთში გაჩნდა.

ჩვეულებრივად მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონზე სხვას ვერაფერს იტყვი, თუ არა იმას, რომ იგი უშიშარი და უმწიკვლო რაინდია. დიახ, კიეველებმა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაგვიმტკიცეს, რომ ქულების, გოლების და ცხრილში ადგილების მოგებას უზრუნველყოფს მოგება დროში. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ჩემპიონმა უნდა გაუსწროს სხვა გუნდებს თამაშის ხასიათში, გამოიგონოს მისი ახალი მოდელი, შეიტანოს ახალი იდეები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კიევის „დინამომ“ ჩვენს სხვა კლუბებს ორი წლით გაუსწრო. მათს თამაშს ხშირად ტყუილად როდი ადარებენ მსოფლიოს ჩემპიონის — ინგლისის ნაკრების თამაშს (არა ძალის, არამედ მანერის მიხედვით).

ცხადია, რომ კიეველებმა, თუ მათ სურთ შეინარჩუნონ წამყვანი პოზიციები, უნდა გამოიგონონ სიახლენი, იმიტომ რომ უკანასკნელი ორი წლის თამაშის მათი მიღწევები უკვე საკმაოდ შესწავლილია, მათ მიჰყვებიან, ხოლო ზოგიერთი კლუბი კიდევაც ბაძავს მათ, როგორც, მაგალითად, ცსკა. შემოდგომაზე ხომ კიეველებმა უნდა ითამაშონ ევროპის ჩემპიონთა თასზე. ისე რომ არა გვგონია წლევანდელ გაზაფხულზე სრული სიმშვიდე იყოს დნეპრზე.

ბევრი რამ საერთოა გასული ჩემპიონატის ორი სხვა პრიზიორის — მოსკოვისა და თბილისის დინამოელების ბედში. ახლა კ. ბესკოვმა და ვ. სოლოვიოვმა გუნდების შესამჩნევი მოდერნიზაცია მოახდინეს, ახალი პრინციპები შემოიღეს თამაშშიც და ვარჯიშშიც. მოსკოველებმაც და თბილისელებმაც თავიანთი ჯილდოები მიიღეს, როცა ჯერ კიდევ დამთავრებული არა ჰქონდათ რეკონსტრუქცია, იმ მომენტში, როცა ალბათ უფრო მეტს ფიქრობდნენ მომავალზე, ვიდრე აწმყოზე. თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, ორივე გუნდი გრძნობს, რომ ჯერ კიდევ ვალშია. წლევანდელმა სეზონმა უნდა გადაგვიშალოს ყველა მათი გეგმა და განზრახვა. შარშან ხომ ვხედავდით, რომ ორივე გუნდი, გარდა იმისა, რომ სურვილი ჰქონდა წინ გასულიყო ტურნირში, ისწრაფოდა ეთამაშა ახლებურად. კვალდაკვალ გაჰყოლოდა დროს.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი მოსკოველი და თბილისელი დინამოელები მიმაჩნია მომავალ სეზონში მთავარი როლების ძირითად პრეტენდენტებად. მათი მედლები კი არ მიზიდავს, არამედ უფრო სრულყოფილი, უფრო თანამედროვე თამაშის ძიება, რაც მათთვის დამახასიათებელია. ჩვენს დროში ეს წარმატების საუკეთესო გარანტიაა. გარდა ამისა, „დინამოს“ ორივე გუნდში ბევრია ახალგაზრდობა, რომელიც გულისხმიერად სწვდება დღევანდელი დღის მოთხოვნებს.

# ამჯერად რა გვაღელვებს?

ლევ ფილატოვი,

ყოველკვირეულ ჟურნალ „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორი.

◆

ჩანს, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამ გუნდების ხასიათზე, მათს თანმიმდევრობაზე, სიმტკიცეზე, სერიოზულობაზე.

თუნდაც მოკლედ გადავავლოთ თვალი, რა საკითხები დგას ზოგიერთი სხვა კლუბის წინაშე, რომლებიც ჩემპიონატის სტარტზე გამოდიან.

მოსკოვის „ტორპედოს“ ამას წინათ უსახელოდ დამთავრებული ორი თამაში ჰქონდა „კარდიფ-სიტისთან“, ინგლისის ოცდამეთორმეტე გუნდთან. მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება მესამე მატჩი აუგსბურგში 3 აპრილს, უკვე ჩანს, რომ ამ გუნდს ნათლად არა აქვს გარკვეული, თუ როგორ ითამაშოს.

გაამართლებს თუ ვერა ლენინგრადის „ზენიტი“ თავის საზეიმო ფიცს, რომ ლენინგრადის ფეხბურთი აღორძინდება? განწირულია თუ არა შუა ადგილებზე ყოფნისათვის ოდესღაც სახელოვანი „სპარტაკი“? მტკიცედ მოიკიდებს ფეხს აღებულ სიმაღლეებზე თუ ვერა „ნეფთჩი“? როგორ გადაიტანს თაობათა შეცვლას როსტოვის სკა? ასეთი საკითხები დგას მომავალი ჩემპიონატის თვითეული მონაწილის წინაშე. ამჟამად ბევრი რამ გაურკვეველია ჩვენს ფეხბურთში.

წლითიწლობით ბევრი რამ იცვლება თამაშში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, თამაშის თავის ვარიანტს რომ გამოიმუშავებდა, გუნდს შეეძლო თუნდაც ათ წელიწადს ეარსება ძველი კაპიტალით. ჩვენ მტკიცედ ვიცოდით, რომ ზოგიერთი გუნდი თამაშის სწრაფ ტემპს ამჯობინებდა, ზოგის ტემპი კი შენელებული იყო, სამაგიეროდ ბრწყინვალე ტექნიკა ჰქონდა. ახლა ასეთი დაყოფა აღარ არის. 7-8 წლის წინათ ბრაზილიური სისტემა თავისი კლასიკური სახით იდეალური ჩანდა. თამაშის ცოცხალმა განვითარებამ გატეხა ამ სისტემის რკინის ჩონჩხი. ის იყო დაიწყეს გადასვლა თამაშზე შორს წაწეული ორი ფორვარდით, რომ უკვე გამოჩნდნენ მისი მოწინააღმდეგეები, რომლებიც ამტკიცებენ, გუნდი უგარემარბებოდ ვერ იქნება, როგორც ფრინველი უფრთებოდო. დღემდე კამათია იმაზე, თუ როგორ აიგოს თავდაცვა („მწმენდელი“ ყველაზე უკან თუ წინ, როგორც კიეველი ვ. ტურიანჩიკი), როგორ წარიმართოს თამაში მოედნის შუაგულში.

რა თქმა უნდა, ტაქტიკური პრობლემები წინათაც არსებობდა, მაგრამ მათი ახლანდელი სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთი გადავიდა უფრო მაღალ სიჩქარეზე, მოთამაშეებმა უფრო მეტად და უფრო სხვადასხვანაირად იწყეს მოძრაობა. ამას წინათ ჩვენმა ერთ-ერთმა მთავარმა თეორეტიკოსმა ბორის ანდრიას-ძე არკადიევმა ფეხბურთის გამოცდილება განაზოგადა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფეხბურთის განვითარებაში დადგა ახალი ეტაპი — „ენერგეტიკული ეტაპი“. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა წარმატება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმ ენერგიაზე, რასაც მოთამაშენი ხარჯავენ მთელი მატჩის მსვლელობაში და თამაშის თვითეულ ოპერაციაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 20 წლის წინათ ეს შორსმჭვრეტელი ადამიანი (არ შემეშინდება ფეხბურთის ფილოსოფოსი ვუწოდო მას) წერდა, რომ ფეხბურთი სწორედ ამ გზით მიდის. იგი უკვე მაშინ აყენებდა იდეას უნივერსალური ფეხბურთელის შესახებ, რომელსაც შეეძლებოდა წარმატებით ეთამაშნა სხვადასხვა პოზიციაზე. მახსოვს — მიუხედავად მისდამი მთელი პატივისცემისა, ბევრნი იცინოდნენ მის წინასწარმეტყველებათა გამო. მიაჩნდათ, რომ 11 როლი ფეხბურთის სპექტაკლში სამუდამოდ არის განაწილებული, მეტი მოძრაობა კი არც შესაძლებელია და არც საჭირო.

ასე რომ ცნება თანამედროვე ფეხბურთის შესახებ მარტო ტაქტიკური ფანდებისაგან როდი შედგება. ეს უწინარეს ყოვლისა არის სისწრაფე, მოძრაობა, თვითეული მოთამაშის მოვალეობათა წრის გაფართოება, ილეთების დახვეწა. მატჩის 90 წუთში ახლა გაცილებით მეტი მოძრაობა, მანევრი, ფიქრები ეტევა.

მე თავს ნება მივეცი დღესასწაულის დღეს შევხებოდი ამ სპეციალურ საკითხებს, იმიტომ რომ, თუ მათ არ იცნობ, შეიძლება ბევრი რამ ვერ დაინახო მატჩებში, ბევრი რამ ვერ გაიგო. ხოლო მომავალი სეზონი, ვფიქრობ, საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი იქნება სწორედ იმ აზრით, თუ როგორ განვითარდება თამაში, რომელიც ესოდენ გვიყვარს.

ჩვენთვის საჭირო გახდა ფართო მონაწილეობა საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში. შერკინება დასავლეთის პროფესიულ ფეხბურთთან, ბურჟუაზიული სპორტული ინდუსტრიის ყველაზე მძლავრ და მდიდარ დარგთან, ბევრ გამოცდილებას გვმატებს.

ჩემი აზრით, ჩვენში შემაშფოთებელი მდგომარეობა შეიქმნა. ნაკრები წინ გაიჭრა თამაშის გამოცდილების მხრივ, ხოლო კლუბები, წამყვანებიც კი, მას ჩამორჩებიან. ჩვენ დიდი დაგვიანებით ჩავებით უაღრესად საინტერესო ტურნირების — ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში და მხოლოდ ახლა ვაპირებთ შევიდეთ ბაზრობათა თასის გათამაშებაში.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს ნაკრებსა და კლუბებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მეც ვფიქრობ, რომ მის პროგრამაში ყველაფერი როდია დასაბუთებული, იგი ახლა ცხოვრობს მეტისმეტად იზოლირებულად, მშობლიური კედლებისაგან მოწყვეტით. რა თქმა უნდა, კლუბების მწვრთნელებს გულსა ხტკენს ის, რომ საუკეთესო მოთამაშეებს ფაქტიურად კარგავენ, ნაკრებს რომ უთმობენ მათ. მაგრამ ამ პრობლემაში უმთავრესია ის, რომ ჩვენმა წამყვანმა კლუბებმა სოლიდური საერთაშორისო გამოცდილება შეიძინონ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგრძნობს ნაკრები თავს სავსებით მტკიცედ და, შესაძლოა, საჭირო აღარ იქნეს შევუქმნათ მას განსაკუთრებული პირობები, მოვწყვიტოთ იგი ჩვენს ფეხბურთს. არსებობს წესი: „ძლიერი კლუბები — ძლიერი ნაკრები“. ჯერჯერობით ჩვენ ამ წესით როდი ვცხოვრობთ. მაგრამ სრული კეთილდღეობის მისაღწევად საჭიროა ვასრულებდეთ მას, იგი საკმაოდ ბრძნული და შემოწმებულია.

ბურჟუაზიულ ფეხბურთთან კონტაქტებს მეორე მხარეც აქვს. შარშან დასავლეთის ფეხბურთის სამყარო შესძრა სკანდალების, აშკარა უხეშობის ეპიდემიამ, რომელსაც „ფეხბურთის ხულიგანიზმი“ უწოდეს. გაიხსენეთ თუნდაც ცემა-ტყეპა, რომელიც მონტევიდეოს სტადიონზე მოხდა და რომელშიც შოტლანდიის „სელტიკისა“ და არგენტინის „რესინგის“ მოთამაშენი მონაწილეობდნენ. უწესრიგობის ტალღამ გადაუარა ინგლისის სტადიონებსაც.

შეიქმნა ამ მოვლენათა შემსწავლელი ჯგუფი გამოჩენილი ფსიქიატრის მეთაურობით. მის მოხსენებაში მოყვანილია ბევრი სხვადასხვა ახსნა. ლაპარაკობენ ინგლისელი ახალგაზრდობის ნაწილის არასრულფასოვნებაზე. ცხოვრებაზე გული რომ გაუტყდა, თავისი პირადი ბედი რომ ვერ წარუმართავს, იგი თავისი ვნებების გამოსავალს იმაში ეძებს, რომ მჭიდროდ უკავშირებს თავის ინტერესებს საყვარელი გუნდის სატურნირო მდგომარეობას და ადვილად კარგავს წონასწორობას ყოველი ოდნავი გართულებისას. ლაპარაკობენ „ფეხბურთის ხულიგანიზმის“ კავშირზე იმასთან, რომ დასავლეთის ახალგაზრდობა გატაცებულია გიჟური ცეკვებით, ველური საესტრადო მუსიკით. ისიც კი ჰგონიათ, რომ აქ თავს იჩენს „მამათა და შვილთა“ კონფლიქტი, იმიტომ რომ, მაგალითად, ინგლისში ახლა სტადიონებზე ნაკლებად დადიან საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები.

ჩვენ არ გვჭირდება სხვისი საქმეები ვარჩიოთ და მოვაგვაროთ. ჩვენს საზოგადოებაში ასეთი მოვლენებისათვის სოციალური ნიადაგი არ არის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ეს მოვლენა გარეგნულადაც კი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს. ვიფიქროთ იმაზე, რომ საბჭოთა ფეხბურთის კეთილი რეპუტაცია უმწიკვლოდ უნდა იქნას დაცული.

ეს პრობლემა მთელი მსოფლიოს ფეხბურთის სპეციალისტების საზრუნავი გახდა და ისინი ფიქრობენ თავიანთი პასუხისმგებლობის ზომაზე. მაგალითად, საფრანგეთის ჟურნალისტებმა განსახილველად წამოაყენეს რამდენიმე წინადადება. ისინი ფიქრობენ, რომ უნდა შეიქმნას საერთაშორისო დისციპლინარული ტრიბუნალი, „უანგარო“ მსაჯთა კორპუსი ფიფასთან, შემოღებულ იქნას თამაშის წესების ერთნაირი გაგება ყველა ქვეყანაში, შეიცვალოს ზოგიერთი შეჯიბრების ფორმულა, რათა წახალისებულ იქნას შემტევი ფეხბურთი. მე ახლა არ შევუდგები ამ წინადადებათა კომენტირებას, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ ისინი მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, თუ რა ბევრი სირთულეა ფეხბურთის საერთაშორისო საქმეებში.

საერთოდ, ყველას — მაყურებლებს, მსაჯებს, ჟურნალისტებს, მოთამაშეებს, მწვრთნელებს — საკმაო საზრუნავი და საბრძოლველი გვაქვს: ფეხბურთი ყოველთვის მხოლოდ სასიამოვნო სანახაობა უნდა იყოს.

## შოთა გაფრინდაშვილი



გარდაიცვალა ცნობილი ენათმეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შოთა გერასიმეს-ძე გაფრინდაშვილი.

შ. გაფრინდაშვილი დაიბადა 1915 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, პედაგოგის ოჯახში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლის ოქტომბრიდან ომის დამთავრებამდე იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მეცნიერული მუშაობა განაგრძო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1957 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შ. გაფრინდაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

შ. გაფრინდაშვილი ეწეოდა დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ვრცელ მონოგრაფიებს „დარგული ენის ფონეტიკასა“ და „სპარსული ენის ფონეტიკას“. მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა მეტყველების ავტომატური გამოცნობის პრობლემასთან დაკავშირებული ფონოლოგიური საკითხები. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების ფონოლოგიისა და ფონეტიკის კომისიის წევრი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. სკპ წევრი იყო 1954 წლიდან.

შოთა გაფრინდაშვილის სახით ჩვენმა მეცნიერებამ დაკარგა დიდი ტალანტით დაჯილდოებული შესანიშნავი მკვლევარი სწორედ მაშინ, როცა იგი თავისი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ხანაში იყო. გაფრინდაშვილის ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილებისათვის. ხოლო მისი კეთილი ნამოღვაწარი სამუდამოდ დარჩება ქართული ენათმეცნიერების საგანძურში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

**31 მარტი**

10.00 — „დილის ვარჯიში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.15 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — გადაცემა „მაქსიმ გორკი და საქართველო“, 18.30 — გადაცემა „ჩაის დღე“, 19.50 — „ახალი ამბები“, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის — „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 22.00 — სატელევიზიო მიმოხილვა „მუსიკის სამყაროში“, 22.50 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.55 — გადაცემა მოსკოვიდან.

**1 აპრილი**

12.00 — ფილმი სპექტაკლი „ეგორ ბულიჩოვი და სხვები“, ეძღვნება მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავს. 1 სერია, 18.10 — გადაცემათა პროგრამა, 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“ 2. კონცერტი. 3. „ცეროდენას ეკრანი“, 19.20 — მხიარული ეკრანი“, 20.00 — მაქსიმ გორკის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს ახალი ამბები და პროგრამა მეორე დღისათვის, 22.30 — — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (ვიდეოჩანაწერი).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 11 ს. და 17 ს.

## მხატვრის ღიმილი



უსიტყვოდ, ნახ. ა. ერაძისა.

## გუშინ დარბაზებში

# „სპარტაკის“ დამარცხება

დიდი ხანია თბილისელებს კალათბურთელთა ასეთი პაექრობა არ უნახავთ. მაყურებელიც ბევრი იყო და თამაშიც ჩინებული გამოდგა. მატჩისადმი ესოდენ ინტერესი მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობამ განაპირობა, გამარჯვების ქულა სჭირდება როგორც ერთ, ისე მეორე კოლექტივს.

დინამოელთა სასტარტო ხუთეულში იყვნენ — ლეჟავა, ალთაბაევი, კაზანჯიანი, ქორქია, ნარიმანიძე. ანგარიში ლენინგრადელებმა გახსნეს, მაგრამ მალე ალთაბაევმა ზედიზედ მოწინააღმდეგის კალათში 3 ბურთის ჩაგდებით თავისი გუნდი წინ გაიყვანა 6:2. მეხუთე წუთისათვის სპარტაკელებმა წონასწორობა აღადგინეს 8:8, შემდეგ დაწინაურდნენ კიდევაც და ტაიმი მოიგეს 31:30.

მეორე ნახევარში ბრძოლამ უფრო მძაფრი სახე მიიღო. უპირატესობა ხელიდან-ხელში გადადიოდა, მაგრამ ბოლოს თბილისის დინამოელებმა მაინც გატეხეს მეტოქე და გაიმარჯვეს 77:71.

მატჩის გმირი თბილისის „დინამოდან“ ალთაბაევი იყო, რომელმაც თავის გუნდს 28 ქულა შესძინა, ლენინგრადის „ბურევესტნიკიდან“ თავი ისახელა ბიკოვმა — 24 ქულა.

დღეს ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

### მატჩი სოხუმში

სოხუმი. (საქ. კორ.). აქ გაიმართა მორიგი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში თბილისისა და სოხუმის „დინამოს“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 4:3.

## სტადიონებზე

# რამდენიმე სტრიქონით

⊙ საფრანგეთში დაბრუნების წინ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მარსელში საერთაშორისო მატჩი გამართა ადგილობრივ „მარსელთან“, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილი უჭირავს. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 1:0. თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე ბურთი გაიტანა ე. მალოფეევმა.

⊙ მსოფლიოს ჩემპიონი კალათბურთში — სსრ კავშირის ვაჟთა გუნდი განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებს სან-პაულოში ჰქონდათ ამ ქალაქის ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 88:76 (39:35).

⊙ მენტონში (საფრანგეთი) მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. წარმატებით გამოდის სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი, რომელიც ფინალში გავიდა. ნახევარფინალში ა. მეტრეველმა მოუგო პოლონეთის ჩემპიონს ვ. გონშორეკს 6:4, 6:2. დასკვნითს ასპარეზობაში ჩვენი თანამემამულე შეხვდება ჩეხოსლოვაკიელ მ. ხოლეჩეკს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.